# ალია

50 თ

№67 2997/ 6 მაისი 2014 წ

PRESS ფასი 50 თ

ორშაბათი ქრონიკა · სამშაბათი ალია · ოთხშაბათი ალია · ხუთშაბათი ალია · პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE

გამოდის 1995 წლიდან


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**„ქართული ოცნების“**

უდროოდ გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ამომრჩევლებს, თანამოაზრეებსა და გულშემატკივრებს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირება იყო:

## „ერთად აღვადგინოთ სამართლიანობა“

41



მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

„ჩვენი მიზანია სამართლიანობის დამკვიდრება და ჩვენს თანამემამულეებში იმედისა და რწმენის გაჩენა“

ბიძინა ივანიშვილი 2011 წელი, 11 დეკემბერი

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

საქართველოს მოსამართლეთა ერთობა
UNITY OF JUDGES OF GEORGIA


ნაზი ჯანეზაშვილი

ზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია იყოს ობიექტური. განსახილველ შემთხვევაში ჟურნალისტისთვის ცნობილია, რომ შესაბამისი ნიმუშები წარდგენილია ექსპერტიზის ჩასატარებლად. ცნობილია, რომ მისი პასუხები იქნება რამდენიმე დღეში, რაც დაადასტურებს არსებულ რეალობას, თუმცა გაზეთი სასწრაფოდ ბეჭდავს ისეთ სტატიას, სადაც დადასტურებულად ჩანს ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ვადაგასული პროდუქტების გაყიდვა. მედიასაშუალებას ევალებოდა, დალოდებოდა ექსპერტიზის პასუხებს და შემდეგ გამოექვეყნებინა მტკიცებით ფორმაში თავისი პოზიცია.

სტატიის მკითხველს უჩნდება განცდა, რომ აღწერილი მოვლენა უტყუარია, ხოლო სათანადო ორგანოთა პასუხსაგები პირების ციტატები უფრო ერთი განმარტებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება, როგორადაც იგი კონვენციის მე-10 მუხლით განისაზღვრება, წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენს, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას. აქედან გამომდინარე, სიტყვის თავისუფლების რეგლამენტირებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას შეფასებული უნდა იყოს კონკრეტული ზიანი, რაც მხარემ განიცადა, მოპასუხის როლი და ადგილი საზოგადოებაში, მისი შესაძლებლობები, დარღვევის სიმძიმე.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე არის მედიასაშუალება, მისი

# „მოსამართლეთა ერთობა“ „ალიას“ მიმართავს

ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობა“ გაზეთების „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ სტატიებს სასამართლოსა და მოსამართლის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით ეხმიანება.

„2014 წლის 12 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელე შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ სასარჩელო განცხადება მოპასუხე შპს „ალია ჰოლდინგის“ მიმართ. სასარჩელო მოთხოვნა იყო შემდეგი:

1. შპს „ალია ჰოლდინგს“ დაევალოს გაზეთ „ალიას“ 2013 წლის 11 სექტემბერს 114 ნომერში პირველ, მე-8 და მე-9 გვერდებზე შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ირგვლივ გავრცელებული ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა მოხდეს იმავე გაზეთის საშუალებით შემდეგი ფორმით: გაზეთ „ალიას“ 2013 წლის 11 სექტემბრის 114-ე ნომერში პირველ, მე-8 და მე-9 გვერდებზე შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ირგვლივ გავრცელებული ღირსების შემლახველი ცნობები, რომ ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ვადაგასულ პროდუქციას ყიდიან, არ შეესაბამება სინამდვილეს და წარმოადგენს გაზეთ „ალიას“ მხრიდან ცილისწამების გავრცელებას.

2. შპს „ალია ჰოლდინგს“ დაეკისროს შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1 000 000 ლარის გადახდა;

გადაწყვეტილების თანახმად, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი და შპს „ალია ჰოლდინგს“ დაევალა გაზეთ „ალიას“ უახლოეს ნომერში, პირველ გვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა, რომ გაზეთ „ალიას“ 2013 წლის 11 სექტემბრის 114-ე ნომერში პირველ, მე-8 და მე-9 გვერდებზე შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ შესახებ გამოქვეყნებული სტატია, რომ „ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ვადაგასულ პროდუქციას ყიდიან“, არ შეესაბამება სინამდვილეს და სტატიაში გადმოცემული ინფორმაცია არ დადასტურდა ჰიპერმარკეტ „ფრესკოდან“ ნიმუშის სახით ამოღებული „ნედლი ქათმის“ ლაბორატორიული კვლევით.

სასამართლომ სარჩელის მე-2 მოთხოვნა, რომ შპს „ალია ჰოლდინგს“ დაეკისროს შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1 000 000 ლარის გადახდა, არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: დადგენილია, რომ სტატია დაიბეჭდა 2013 წლის 11 სექტემბერს, ხოლო შემთხვევა მოხდა 2013 წლის 6 სექტემბერს. საქმის მასალებით, სტატიის შინაარსით დასტურდება, რომ ჟურნალისტს 11 სექტემბრისათვის არ ჰქონდა ხელთ უფლებამოსილი ორგანოს – სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საექსპერტო დასკვნა, რაც დაადასტურებდა გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტის ნინო სამხარაძის მიერ ნაყიდი, ან ნიმუშის სახით ამოღებული პროდუქტის შეუსაბამობას მისთვის კანონით წარდგენილ მოთხოვნებთან.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ სასამართლოს წარმოუდგინა სათანადო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რაც ადასტურებს, რომ მოსარჩელის კუთვნილ ობიექტში აღებულ ნიმუშზე რაიმე შეუსაბამობა არ აღმოჩენილა და სადავო ფაქტის დღეს აღებული „ნედლი ქათამი“ შეესაბამებოდა „ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი 11 სანიტარიული წესებისა და ნორმების 2.3.2.000-00“ მოთხოვნებს.

მოპასუხის მიერ არ მომხდარა დადასტურება იმ გარემოებისა, რომ შპს „ფრესკო თრეიდ მარკეტის“ კუთვნილ ჰიპერმარკეტში შეძენილი პროდუქტი იყო ნამდვილად გაფუჭებული და მოხმარებისთვის შეუსაბამო. სასამართლო განმარტავს, რომ პროდუქტის ვარგისიანობის დადგენა წარმოადგენს ლაბორატორიული შემოწმების კომპეტენციას და ზედაპირულად, ვიზუალურად, ერთი შეხედვით პროდუქტის შეფასება, როგორც უვარგისი, არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. საქმის მასალებში დაცული სტატიის მიხედვით სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის მიერ გაკეთებული კომენტარი არ შეიძლება დაუპირისპირდეს ამავე სამსახურის მიერ გაცემულ ოფიციალურ დასკვნას, რომ საკვლევი ნიმუში შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს.

სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში იმსჯელა მედიასაშუალების როლზე, მან კერძოდ განაცხადა: სასამართლო განმარტავს, რომ მედიასაშუალების/ჟურნალისტის ვალდებულებაა, მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა ზომა, რომ სარწმუნოს ხდის აღწერილს, თუმცა იმ ფაქტს, რომ ჟურნალისტის მიერ ნაყიდი „ნედლი ქათამი“ უვარგისია საკვებად და მით უმეტეს, „ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ვადაგასული პროდუქტები იყიდება“, სჭირდებოდა მეტი ფაქტობრივი დადასტურება, შესაბამისი ორგანოების მიერ კვალიფიციური კვლევა და მხოლოდ შემდეგ გამოქვეყნება.

მეწარმის რეპუტაცია, მომსახურების მაღალი ხარისხი არის პირდაპირ დაკავშირებული მისი საქმიანობის შედეგებთან. ყოველი ინფორმაცია, რაც ადასტურებს, რომ მეწარმე არ არის მაღალი ხარისხის პროდუქციის გამსაღებელი, მეწარმის იმიჯს ზიანს აყენებს.

სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მიხედვით, რომლის თანახმად ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია, და კონსტიტუციის მე-19 მუხლით, რომლის თანახმად კი ყველა ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე ვკითხულობთ: სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლზე, რომლის თანახმად 1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად... 2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისთვის, სხვათა რეპუტაციის უფლებების დაცვისთვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა და სასამართლო ხელისუფლების უზრუნველსაყოფად. კონვენციის ციტირებული მუხლის ერთ-

როლი არის სწორი და დროული რეაგირება მოახდინოს და საჯარო გახადოს საზოგადოებისთვის საჭირბოროტო საკითხები. ამიტომ მის მიმართ განხორციელებული სანქცია უნდა იყოს შესაბამისობაში ჩადენილ დარღვევასთან. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა მტკიცებულებები იმისა, თუ რა მატერიალური ზიანი მიადგა სადავო სტატიის გამოქვეყნებით. მეწარმის მორალური ზიანის ერთ-ერთი მთავარი განზომილება, მის არამატერიალურ უფლებათა ხელყოფასთან ერთად, არის სწორედ ის პირდაპირი კავშირი რეპუტაციასა და მომხმარებელთა შემცირებასთან, რაც შესაძლოა მოპასუხის არამართლზომიერმა ქმედებამ გამოიწვია.

აღსანიშნავია ასევე ის ეფექტი, რაც დადგენილ სანქციას შეიძლება ჰქონდეს სიტყვის თავისუფლების გამომხატველის მიმართ. რადგან მედიასაშუალებისთვის, მისი რეპუტაციისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მის მიერ გამოქვეყნებული მასალების სისწორის ვარაუდი საზოგადოების მხრიდან, სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში საკმარისი და სათანადო სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზომა იქნება, მოპასუხეს დაევალოს უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოს ცნობა, რომ 2013 წლის 11 სექტემბრის სტატიაში გადმოცემული ინფორმაცია არ დადასტურდა ჰიპერმარკეტ „ფრესკოდან“ ნიმუშის სახით ამოღებული „ნედლი ქათმის“ ლაბორატორიული კვლევით. აღნიშნული დავალება, ერთი მხრივ, დაადასტურებს მოსარჩელის რეპუტაციის სანდოობას, ხოლო მეორე მხრივ ექნება პრევენციული ხასიათი მოპასუხის მიმართ არ ჩაიდინოს მსგავსი ქმედება, ასევე პასუხი აგოს უკვე მომხდარზე.

საზოგადოებისთვის ყურადსაღები უნდა იყოს ასევე ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ არის შესული და მისი იძულებითი აღსრულება ჯერ შეუძლებელია, სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ პატივისცემა ევალება ყველა პირს. სასამართლომ ჩათვალა რა მოსარჩელის უფლებები დარღვეულად სტატიის

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზაფხულის ტურისტული სეზონი ოფიციალურად 31 მაისს გაიხსნება



ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, წელს უკრაინიდან ტურისტების რაოდენობის 100%-ით გაზრდა იგეგმება. ტურისტული სეზონის გახსნა ბათუმში, რაჭაში – შაორის წყალსაცავზე, ქუთაისში, ბორჯომსა და თბილისში მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნება.

როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გიორგი სიგუამ განაცხადა, საქართველოში ტურიზმის პოპულარიზაციისთვის მასშტაბური სარეკლამო კამპანია იწყება და ტურისტული ნაკადის გაზრდის მიზნით მზადდება 4 საიმიჯო ვიდეორგოლი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დავალებით, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სერვისის გასაუმჯობესებლად ადმინისტრაცია აქტიურ მუშაობას ჩაატარებს. კერძოდ, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში საინფორმაციო ტურისტული ცენტრები გაიხსნება, ტურისტებს კი მობილური გიდები მოემსახურებიან.

„გახსნის ღონისძიებები ჩატარდება სხვადასხვა ადგილას. ბათუმში საწყლოსნო, საპარაშუტო და სხვადასხვა სახალისო აქტივობები იქნება, რაჭაში – ორდღიანი ლაშქრობა, ტბაზე კი – წყლის თხილამურებით შეჯიბრებები, ბორჯომის პარკში იქნება კოსტიუმირებული წარმოდგენა, ქუთაისში – ყვავილების ფესტივალი, კონცერტი, ბოდიარტი და სხვა ღონისძიებები. ყველაფერი ამის დაგვირგვინება კი მოხდება თბილისში: საღამოს ლისის ტბაზე იქნება გრანდიოზული ღონისძიება. იქ იქნება წარმოდგენილი ყველა პროდუქტი, რაც შევქმენით, მათ შორის – პრეზენტაცია მთავარი საბრენდო ნიშნის „მასკოტი გიო“, რომელიც იქნება ლოგო, სავიზიტო ბარათი და ყველა ტურისტის თანამგზავრი საინფორმაციო დაფებიდან“, – განაცხადა გიორგი სიგუამ. (ინტერპრესნიუსი)

## მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მარჩენალდაკარგულები ფულად დახმარებას მიიღებენ



ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება დააწესა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს – 400, ხოლო ომში დაღუპულ თითოეულ მარჩენალდაკარგულს 200 ლარი გადაეცემა.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გარდა თბილისისა) ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემას უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების სააგენტო, დედაქალაქში კი – თბილისის მერია. ვეტერანებსა და მარჩენალდაკარგულებს თანხის მიღება ხვალიდან (6 მაისიდან) შეეძლებათ. ფულადი დახმარება გაიცემა „ლიბერთი ბანკის“ მეშვეობით.

ჯანდაცვის სამინისტრო ულოცავს ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავს.

(ინტერპრესნიუსი)

2014 წლის 5 მაისს გაზეთების „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ რედაქციას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა – „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური, თავგადაკლული მხარდამჭერის, ოთარ კობერიძის სასარგებლოდ 50 000 ლარის გადახდა დაგვეკისრა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი „ფრესკოს“ „აყროლებული ქათმის“ სტატია 6500 ლარი გვიჯდება.

მიშას მონა, სიმართლის მკვლელი მოსამართლეების დაწყებული თავხედური, უტიფარი, აღვირახსნილი უსამართლობის პროცესი „ქართულ ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენით უნდა დაემთავრებინა.

სწორედ ამიტომ ვიბრძოდით შეუპოვრად, თავგანწირვით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად, რომ ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდგომ, ერთად აღგვედგინა სამართლიანობა.

სამწუხაროდ, სამართლიანობის აღდგენის ოცნება დაიმსხვრა, როგორც ამომრჩეველთა დიდი ნაწილისთვის, ასევე, დღეს უკვე ჩვენთვისაც.

ამიტომ, ყველას – უსამართლობით გამწარებულებს, ᲘᲛᲔᲓ გაცრუებულებსა და ᲝᲪᲜᲔᲑᲐ წართმეულებს, მოგიწოდებთ – ერთად მოვიპოვოთ სამართალი:

1. ნუ მისცემთ ხმას „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“!!!
   არ შემოხაზოთ ციფრი 5 ან 41.
2. მხარი დავუჭიროთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნას!!!

გაზეთების „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ განაჩენიᲪ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“!!!

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

**„ჩვენ დღეს ვიწყებთ, რათა ხვალ საქართველოსა და მთელი მისი მოსახლეობის მდგომარეობა შევცვალოთ უკეთესობისკენ, სამართლიანობისა და თანასწორობისკენ“.**

41

**ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი**

*მეორე გვერდიდან*

გამოქვეყნებით, შპს „ალია ჰოლდინგს“ დაავალა გაზეთ „ალიას“ უახლოეს ნომერში, პირველ გვერდზე გამოექვეყნებინა ცნობა, რომ გაზეთ „ალიას“ 2013 წლის 11 სექტემბრის 114-ე ნომერში პირველ, მე-8 და მე-9 გვერდებზე შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ შესახებ გამოქვეყნებული სტატია, რომ „ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ვადაგასულ პროდუქციას ყიდიან“, არ შეესაბამება სინამდვილეს და სტატიაში გადმოცემული ინფორმაცია არ დადასტურდა ჰიპერმარკეტ „ფრესკოდან“ ნიმუშის სახით ამოღებული „ნედლი ქათმის“ ლაბორატორიული კვლევით. აღნიშნულის საპირისპიროდ მართლმსაჯულების აშკარა უპატივცემულობის გამოხატვაა, როდესაც გადაწყვეტილების სრული უგულებელყოფით გაზეთ „ალიაში“ ყოველდღიურად იბეჭდება იგივე სტატია და მას ერთვის მოსამართლის მიმართ გამოხატული უპატივცემულობა. აღნიშნული ქმედება უნდა ჩაითვალოს სასამართლო ხელისუფლების დაცინვად, უპატივცემულობად და მასზე ზეწოლად, რადგან, როგორც მედიასაშუალება აცხადებს, მას სააპელაციო სასამართლოსათვის მიმართული აქვს სააპელაციო საჩივრით, რაც გულისხმობს, რომ მე-2 ინსტანციის სასამართლო ვალდებულია, იმსჯელოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების კანონიერებაზე ისეთ პირობებში, როცა ყოველდღიურად ხდება სასამართლო ხელისუფლებისადმი აშკარა უპატივცემულობა ამავე გაზეთის – აპელანტი მხარის მხრიდან.

„საქართველოს მოსამართლეთა ერთობა“ მოუწოდებს „ალია ჰოლდინგს“, შეწყვიტოს სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაცია, პატივი სცეს მართლმსაჯულებას და შეწყვიტოს ზეწოლა სასამართლოზე, რომელიც განიხილავს აღნიშნულ სადავო საკითხს. „ალია ჰოლდინგმა“ უნდა გამოიყენოს თავისი სამართლებრივი უფლება და დაამტკიცოს სიმართლე სასამართლოში, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებას, რა მტკივნეულიც არ უნდა იყოს იგი, პატივი უნდა სცეს ნებისმიერმა პირმა“, – აღნიშნულია „მოსამართლეთა ერთობის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## თუ არ იცით, ვიმეორებ, ჯერ დაფიქრდით, გაერკვიეთ სიტუაციაში და მერე წერეთ „ალიას“ წინააღმდეგ

ოპააა... ხომ კარგია? ანუ, მართლმსაჯულების დაცინვააო, ყოველდღე თამაზ ურთმელიძეს რომ ახსენებთ, ნუ, არცთუ ისე დადებით კონტექსტშიო. სანდო წყაროებო, ერო და ბერო, „ალია“-„ქრონიკის“ მკითხველებო, სად და როდის დავცინეთ თემიდას? რაში გამოიხატა ჩვენი უპატივცემლობა მოსამართლის მიმართ?

**„ალიას“ ესაუბრება „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ ხელმძღვანელი ნაზი ჯანეზაშვილი:**

– ეე... თქვენთან თამაზ ურთმელიძეზე კეთდება განცხადებები და ასეთი მიდგომები მიუღებელია ჩვენთვის და იმიტომ გავაკეთეთ ეს განცხადება.

**— უკაცრავად, თქვენ საქმეში ჩახედული ხართ? შესწავლილი გაქვთ საქმე?**

– კი, კი!

**— მაშინ კითხვას დაგისვამთ: ის, რომ ჩვენი მხარე არ ყოფილა დაკითხული პროცესზე, არაუშავს? რატომ არ დაიკითხა ჟურნალისტი ნინო სამხარაძე? სახელმწიფო მოხელე სურსათის უვნებლობის სააგენტოს წარმომადგენელი გიგა ქურდოვანიძე და იქაური ორი ექსპერტი, ვინც იმ ღამეს შეამოწმა დამპალი ქათამი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ საკვებად უვარგისი იყო ქათამი?**

– ეს საქმის დეტალებში ახლა ჩვენ ვერ შევალთ, მაგრამ ისეთი დამოკიდებულება მიუღებელია.

**— რას ნიშნავს, „საქმის დეტალებში ვერ შევალთ“?**

– მე პასუხს მთხოვთ, რაც გამოვაქვეყნეთ?

**— რასაკვირველია, აბა, რას ელოდით? ვიმეორებ, მოსამართლე თამაზ ურთმელიძის მიერ პროცესზე რატომ არ დაიკითხნენ ეს მოწმეები? რატომ არ დაინტერესდა მოსამართლე, რატომ ტყუის უნისონში ამდენი ადამიანი?**

– (პაუზა) ხო... ნუ (პაუზა), ჩვენს განცხადებაში, რის თქმაც გვინდოდა, ვთქვით! ეს განცხადებები რომ კეთდება ჩვენს მოსამართლეზე, ეს სწორი მიდგომაა?

**— იცით, რა? მთელი ამ პროცესის შემხედვარეს გონივრული ეჭვი გვაქვს, რომ მოხდა გარკვეული შეთანხმება.**

– სხვა საქმეებზეც რომ კეთდება განცხადება და ინტენსიურად რომ კეთდება ყოველდღე ამ მოსამართლეზე რაღაცები, რა მიდგომაა?

**— რა მიდგომაა და სწორი მიდგომაა, რადგანაც არ იყო სამართლიანი მოსამართლე, მოწმეები არ დაიკითხნენ და მატყუარები გამოგვიყვანეს. ამაზე გავჩუმდეთ და ხმა არ ამოვიღოთ?**

– თქვენ მიგაჩნიათ ესე და ჩვენ მიგვაჩნია ესე, როგორც განცხადებაში არის გაცხადებული.

**— რას ნიშნავს „ესე“ და „ესე“? თქვენ საქმის მასალას არ იცნობთ და კითხვებზე პასუხს ვერ მცემთ და რა „ესე“?**

– და რა გავაკეთოთ, მითხარით?

**— მე ვარ ის მოწმე, რომელთანაც „ფრესკოს“ თანამშრომელმა აღიარა, ქათამი დამპალი კი იყო, მაგრამ თქვენმა თანამშრომელმა, სამხარაძემ დაალპოო და, როცა ვახსენებ, რომ 15 წუთში მოხდა ამ უბედური ქათმის უკან დაბრუნება, იქ ქალი ჩუმდება. რატომ არავინ დაინტერესდა ამ ჩანაწერით სასამართლოზე?**

– (ოხრავს) მე რაც შემეძლო, განცხადებით ვთქვი, და მართლა არ შემიძლია რაიმე დეტალებზე ლაპარაკი, რატომ არ დაიკითხა მოწმე.

**— რას ჰქვია, „მე რაც შემეძლო, განცხადებით ვთქვი“? იმხელა განცხადებას რომ გვიშანშალებთ, პასუხი არ უნდა მივიღოთ თქვენგან?**

– მოსამართლის საქმეში ჩარევა კანონით აკრძალულია!

**— აკრძალულია? და ჩვენს საქმეში რომ ერევით, ეს დაშვებულია?**

– ბუნებრივია, ჩარევის უფლება არ გვაქვს, ეს არის საჯარო განცხადება, იმიტომ, რომ მიზანმიმართული კამპანიაა ერთი კონკრეტული მოსამართლის მიმართ! თქვენ წააგეთ საქმე...

**— თქვენ არ ხართ საქმეში ჩახედული, თქვენ არ ფლობთ ფაქტებს, კი არ წავაგეთ საქმე, წაგვაგებინეს საქმე. მოსამართლის განაჩენიდან ჩანს, რომ ჩვენ, მედიას, მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნა უნდა გვქონდეს წინ და არა რეალური ფაქტობრივი ამბის გადმოცემის უფლება, არა?**

– თქვენ ეს გადაწყვეტილება ხომ არ მოგწონთ? სააპელაციოში ხომ შეიტანთ? რა დაინტერესება ჰქონდა ურთმელიძეს, ხომ არ იცით? როცა მართლმსაჯულებაში ასეთი პრობლემებია და ამდენი რამ ხდება და ვცდილობთ, რაღაცა გამოვასწოროთ და ასეთი რამეები ხდება, ერთი მოსამართლის მიმართ ასეთი კამპანიის წამოწყება, მისი სხვა საქმეების მოძებნა არ არის სწორი.

**— ეჭვი არ შეგეპაროთ, აუცილებლად მოვძებნით მის ასეთივე სხვა „სამართლიან“ საქმეებს, ჩვენ უამრავი ადამიანი გვირეკავს და გვეუბნება, რომ ამ მოსამართლის გამოტანილ განაჩენთან პრეტენზიები აქვთ, ამიტომ არ მოგვბეზრდება და ვამხელთ ურთმელიძეს კიდევ და კიდევ.**

– არ ვიცი, ასეთ დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. მოსამართლის საქმიანობაში ვერ ჩავერევი.

**— სტატიაში აბსოლუტურად ყველა ნორმა იყო დაცული: იქ იყო სახელმწიფო მოხელის დასკვნა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის დასკვნა, ადგილზე სიტუაცია ჩვენ გავაშუქეთ, რაც შეეხება სამხარაძეს, მას ჟურნალისტური გამოძიება არ ჩაუტარებია, ის, როგორც მომხმარებელი, ისე მოიქცა და რა გამოდის, ოღონდ „ფრესკოს“ არ ეწყინოს და დანაშაული უნდა დაიფაროს?**

– (პაუზა) ხო, რაც უნდა გვეთქვა, ის წერია განცხადებაში და ჩემგან რას ითხოვთ?

**— ეგ ერთხელ უკვე მითხარით და ძალიან სუსტი არგუმენტია. ვითხოვთ იმას, რომ სანამ რამეს დაწერდეთ, გაეცანით მასალას და ბოლო კითხვა: მოქალაქე ნინო სამხარაძეს ჰქონდა იმის უფლება, როგორც ის მოიქცა?**

– ისეთ დეტალებს მეკითხებით... ნუ მისვამთ ასეთ კითხვებს! არ ვიცი, რა გიპასუხოთ!

**— თუ არ იცით, ვიმეორებ, ჯერ დაფიქრდით, გაერკვიეთ სიტუაციაში და მერე წერეთ „ალიას“ წინააღმდეგ. მაპატიეთ, უსუსტესი იყავით საუბარში, უკაცრავად ამას რომ გეუბნებით. ფაქტს აღვნიშნავ...**

»» თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი
EUROPEAN TEACHING UNIVERSITY

**შპს „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) დასაკავებლად:**

I. ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
პროფესორი – 3 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი – 3 ვაკანსია;
ასისტენტი – 3 ვაკანსია;

II. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
პროფესორი – 2 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი – 3 ვაკანსია;
ასისტენტი – 3 ვაკანსია;

III. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე
პროფესორი – 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია;
ასისტენტი – 3 ვაკანსია;

IV. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
პროფესორი – 3 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი – 4 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი – 4 ვაკანსია;
ასისტენტი – 4 ვაკანსია;

**საკონკურსო კრიტერიუმები:**

1) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი პროფესორის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) თანამდებობაზე;

2) აკრედიტებული ან მასთან გათანაბრებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის სტატუსი – ასისტენტის თანამდებობაზე;

3) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება – ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 6 წლის მუშაობის გამოცდილება პროფესორის, და არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება – ასოცირებული პროფესორის ვაკანსიისთვის;

4) შესაბამისი დარგისათვის აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები, არანაკლებ 2-სა გამოქვეყნებული უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში – პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, ხოლო არანაკლებ ერთისა – ასისტენტ პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობაზე;

5) ინგლისური ენის ცოდნა – სასწავლო კურსის წასაკითხად და ლიტერატურასთან მუშაობისთვის აუცილებელი დონით (აღნიშნული მოთხოვნა სავალდებულოა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

**დამატებითი კრიტერიუმები:**

1) შესაბამის დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება
2) სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება
3) მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში
4) სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები
5) პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;
6) ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა.
7) უცხო ენის ცოდნა

**საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

კონკურსში მონაწილეობის მსურველი საბუთების წარმოდგენის ეტაპზე წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

1. განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (ივსება ადგილზე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში)
2. ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდვითი ფორმით)
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების, ასლები;
4. პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები (არსებობის შემთხვევაში)
5. 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4.
6. ინფორმაცია საკონკურსო თანამდებობის/დარგისთვის ადეკვატური სამეცნიერო ნაშრომების შესახებ (გამოქვეყნებული ბოლო 10 წლის განმავლობაში);
7. კონკურსანტის მიერ შედგენილი შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი (კონკურსანტის სურვილისამებრ)

**კონკურსი ჩატარდება შპს „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის“ „აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად და მოიცავს 2 ეტაპს:**

1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა
2. საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება

**კონკურსის ვადები**

1. კონკურსი გამოცხადებულია 2014 წლის 6 მაისიდან
2. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2014 წლის 9-11 ივნისს.
3. კონკურსის პირველი ეტაპი – საბუთების გადარჩევა – ჩატარდება 2014 წლის 12 ივნისს;
4. კონკურსის მეორე ეტაპი – საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება – ჩატარდება 13 ივნისს;
5. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2014 წლის 16 ივნისს.

**დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტი უნდა წარადგინონ საკონკურსო კომისიის სამდივნოში 2014 წლის 9 ივნისიდან 11 ივნისის ჩათვლით.**

**საკონტაქტო ინფორმაცია კონკურსანტებისთვის**

კონკურსანტთა განაცხადების მიღებას, რეგისტრაციას, ასევე კონკურსანტთა კონსულტირებას უზრუნველყოფს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიის სამდივნო.

საკონკურსო კომისიის სამდივნოს საკონტაქტო რეკვიზიტები: თბილისი, ჭყონდიდელის ქ. №26. ტელ: 2141181; 595931030;
**E-mail info@esu.edu.ge**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

**„ჩვენი ოცნებაა, საქართველოში დაცული იყოს ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება; სასამართლო იყოს სამართლიანი, მედია - დამოუკიდებელი, ბიზნესი - ხელშეუხებელი“.**

**ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი**

41

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...



# „ივანიშვილმა ქვეყანა ისევ „ნაციონალების“ ხელში ჩააგდო და თვითონ ურეკშია წამოწოლილი“

## კოალიციაში ჭამენ ერთმანეთს და არ იციან რა გააკეთონ

**„ამ ბიძინა ივანიშვილისაც მიკვირს, ისევ „ნაციონალების“ ხელში რომ ჩააგდო ქვეყანა და თვითონ ურეკშია წამოწოლილი. შეკვეთილში რომ საკონცერტო დარბაზს აშენებს, იქ არის, საკუთარი თვალით ვნახე. ბიძინა გახარებულია“**

კოალიციაში გულგრილობას აქვს ადგილი. სიტყვა „გულგრილობა“ ცოტა რბილადაა ნათქვამი, რაც ახლა „ქართული ოცნების“ კულუარებში ხდება, ამას შეიძლება „ღალატიც“ ეწოდოს. მაგალითად, როდესაც შეგიძლია, „ნაციონალების“ ვირეშმაკობა გაშიფრო, შოთა მალაშხიას იურიდიული თვალსაზრისით აჯობო და ამ დროს გძინავს, ან ტყემლის ხეზე ხარ შემომჯდარი, ამას გულგრილობაც ჰქვია და ღალატიც. „ალიას“ ერთ-ერთ წინა ნომერში უკვე ვწერდი, რომ „ნაციონალებმა“ ადგილობრივი არჩევნების წინ დიდი აფიორა გაათამაშეს: ნაფტალინიდან 2004 წელს დარეგისტრირებული პარტია („ქრისტიან-კონსერვატორული“) ამოიღეს, სათავეში საპარლამენტო უმცირესობის წევრი, შოთა მალაშხია ჩაუყენეს და ბლოკიც შექმნეს. ვინაიდან დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო პარტიაა და დაფინანსებასაც ამის მიხედვით იღებს, ადგილობრივ არჩევნებში, ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, ამას ემატება კიდევ ერთი დაფინანსება, რაც წელიწადში დაახლოებით 3 მილიონ ლარს შეადგენს.

აქ „ნაციონალები“ იჭედებოდნენ, ან ერთი დაფინანსება უნდა აერჩიათ, ან მეორე და ამიტომაც შემოაგდეს შოთა მალაშხიას ვარიანტი, რომელიც ადგილობრივ დაფინანსებას წაიღებს. საწყის ეტაპზე, როცა ეს ფაქტი გახმაურდა, არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელმა, ლადო ბოჟაძემ ჯერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იჩივლა, შემდეგ კი სასამართლოში, მაგრამ ორივეგან წააგო. ბოჟაძე ამტკიცებდა, რომ „ქრისტიან-კონსერვატორული“ პარტია ყალბი ხელმოწერების საფუძველზე დარეგისტრირდა და ითხოვდა, შესაბამის ორგანოებს გამოეკვლიათ, რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებდა შოთა მალაშხია. სამწუხაროდ, „ნაციონალებმა“ თავისი გაიტანეს, ბლოკი უკვე შექმნეს და 4 მაისს რეგისტრაციაშიც გაატარეს.

როგორც „ალიასთან“ საუბარში ინკოგნიტო წყარო ამბობს, აქ უკვე გამოიკვეთა გარიგება „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის: ჯერ ერთი, კოალიციის ცენტრალურ შტაბში ამ ფაქტის მიმართ ინტერესი საერთოდ არ გამოუჩენიათ და მეორეც – ცესკო-ში კოალიციის წევრებს ზემდგომ ინსტანციაში ეს ფაქტი არ გაუსაჩივრებიათ. მიუხედავად იმისა, რომ იყო შეთავაზება სხვა ძალებისგან, კახი კალაძის მოადგილემ, რომან კუსიანმა მათ ასეთი პასუხი გასცა: გასაჩივრებას რა აზრი აქვს? არადა, როგორც ინკოგნიტო წყარო ამტკიცებს, გასაჩივრებას აზრი ნამდვილად ჰქონდა, თუ ბიუჯეტიდან 3 (4 წლის განმავლობაში ეს 12 მილიონია) მილიონს ვერ გადაარჩენდნენ, იმას მაინც აჩვენებდნენ, რომ ბოლომდე იბრძოლეს. რომან კუსიანს ელექტრონული წერილიც გავუგზავნე და ტელეფონით დაკავშირებაც ვცადე, მაგრამ ის ამჯერად დუმილს ამჯობინებს. ვფიქრობ, სძინავს.



**„მიუხედავად იმისა, რომ იყო შეთავაზება სხვა ძალებისგან, კახი კალაძის მოადგილემ, რომან კუსიანმა მათ ასეთი პასუხი გასცა: გასაჩივრებას რა აზრი აქვს? არადა, როგორც ინკოგნიტო წყარო ამტკიცებს, გასაჩივრებას აზრი ნამდვილად ჰქონდა, თუ ბიუჯეტიდან 3 (4 წლის განმავლობაში ეს 12 მილიონია) მილიონს ვერ გადაარჩენდნენ, იმას მაინც აჩვენებდნენ, რომ ბოლომდე იბრძოლეს“**

კოალიციას ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს რეგიონებშიც – როგორც სანდო წყარო ამბობს, კოალიციის წარმომადგენლებმა არც კი იციან, როგორ უნდა ჩაატარონ არჩევნები, ჯერ მხოლოდ ერთმანეთის ჩაძირვაზე ფიქრობენ. კომისიის წევრებად მოჰყავთ სულელები, ისეთი საეჭვო წარსულის მქონე ადამიანები, ვერ გაიგებთ, ვინ რას წარმოადგენს:

„ვინაიდან კომისიის წევრს 180 ლარს აძლევენ, საიდანღაც მორეკეს თავიანთი ნათესავები. თუ ასე გააგრძელეს, ამ ხელისუფლებას დიდი დღე არ აქვს. ამ ბიძინა ივანიშვილისაც მიკვირს, ისევ „ნაციონალების“ ხელში რომ

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვის აირჩევენ პრემიერად და ვინ წარუდგენს მას პარლამენტს?



დეპუტატ ვახტანგ ხმალაძის მიერ მომზადებული საკონსტიტუციო პროექტის სამუშაო ვარიანტის თანახმად, პრემიერ-მინისტრად შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წევრის არჩევა.

„ეს არის ერთ-ერთი მოდელი, როდესაც პრემიერ-მინისტრად აირჩევა მხოლოდ პარლამენტის წევრი და პრემიერ-მინისტრობის პერიოდში უჩერდება პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. თუ იგი თანამდებობიდან გადადგება, ან გადააყენებენ, ის პარლამენტში დაბრუნდება. როგორც წესი, საპარლამენტო რესპუბლიკებში პრემიერ-მინისტრი არის პარტიის ან კოალიციის ლიდერი, პოლიტიკური ფიგურა და იმისთვის, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვების შემდეგ ის არ აღმოჩნდეს ხელისუფლების გარეთ, ფორმალურად თამაშგარე მდგომარეობაში, არამედ შეასრულოს პოლიტიკური ლიდერის ფუნქცია უკვე პარლამენტში, სწორედ ასეთი მოდელი არსებობს“, – განმარტავს ვახტანგ ხმალაძე.

დეპუტატის პროექტის თანახმად, მთავრობის ფორმირების პროცესში პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას პარლამენტს თავდაპირველად პრეზიდენტი წარუდგენს, რაც თავის მხრივ, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაძლიერების გულისხმობს. პრეზიდენტს პარლამენტისთვის პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენის დისკრეციული უფლებამოსილება ეძლევა.

„დღეს არის სრულიად უაზრო პროცედურა, რაც ზედმეტად აჭიანურებს მთავრობის შექმნას. დღევანდელი მოდელით, ჯერ საპარლამენტო უმრავლესობამ, და თუ უმრავლესობა არ არის, არჩევნების შედეგად პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ პრეზიდენტს უნდა წარუდგინოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა. შემდეგ ეს კანდიდატი პრეზიდენტმა უნდა წარუდგინოს პარლამენტს და პარლამენტმა კენჭი უნდა უყაროს მას. თუ წარდგენილი კანდიდატურა ვერ გავიდა, ამის შემდეგ არჩევნებში მეორე ადგილზე გასულმა სუბიექტმა უნდა წარუდგინოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი პრეზიდენტს და მერე პრეზიდენტმა უკან უნდა დაუბრუნოს პარლამენტს. თუ კვლავ ვერ გავიდა, ამის შემდეგ მესამე ადგილზე გასულმა უნდა წარადგინოს და ეს ყველაფერი რომ ამოიწურება, შემდგომ პარლამენტმა თვითონ უნდა აირჩიოს პრემიერ-მინისტრი. მოდელი, რომელიც ახლა სამუშაო ჯგუფში განვიხილეთ, არის მარტივი და ლოგიკური. კერძოდ, არჩევნების შემდეგ პრეზიდენტმა პარლამენტის ფრაქციებთან კონსულტაციების საფუძველზე, პარლამენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა უნდა წარუდგინოს. თუ პარლამენტმა ის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩია, ყველაფერი ამით დამთავრდება. ხოლო თუ არ აირჩევს, მაშინ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატები თავად პარლამენტში დასახელდება და თუ რომელიმე აირჩა, პრეზიდენტი ვალდებული იქნება, იგი დანიშნოს. თუკი ვერ მოხდება არჩევა, არჩევნების შემდეგი ტური გაიმართება, რომელშიც ყველა კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის პრეზიდენტის მიერ წარდგენილი. თუ ისევ ვერ მოხდება არჩევა, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს. აღნიშნული მოდელის მიხედვით ცხადი ხდება, რომ პარლამენტის ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრობის იმ კანდიდატს წარადგენს, რომლის თაობაზე გამოიკვეთება, რომ მას პარლამენტის უმრავლესობა მხარს უჭერს. თუკი პრეზიდენტი ასე არ მოიქცევა და პრემიერ-მინისტრად სხვა კანდიდატურას წარადგენს, ის ჩავარდება და პარლამენტი თავად აირჩევს იმას, ვინც უნდა. ამით მთავრობის ფორმირების პროცესი შემოკლდება“, – განმარტა ვახტანგ ხმალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ ქართველები გაათავისუფლა



ხაშურისა და ქარელის რაიონიდან გატაცებული ქართველები ჯარიმის სანაცვლოდ განთავისუფლდნენ. ორი მათგანი სოფელ კლდისწყაროს მკვიდრია, ერთი კი – სოფელ წერონისის. 34 წლის გიორგი ხარაიშვილი, 42 წლის ბესიკ გელაშვილი და 70 წლის მერაბ კაპანაძე ოსურმა მხარემ ქართველ სამართალდამცავებს დღეს გადმოსცეს.

ისინი შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში დაკითხეს. 70 წლის მერაბ კაპანაძე ოკუპანტებმა სოფელ წერონისის ტერიტორიიდან 10 დღის წინ გაიტაცეს. რაც შეეხება ხარაიშვილს და გელაშვილს მათი დაკავება 25 აპრილს იმ დროს მოხდა, როდესაც სოფლის განაპირას ჯონჯოლს კრეფდნენ.

გელაშვილმა, ხარაიშვილმა და კაპანაძემ განთავისუფლების სანაცვლოდ მარიონეტულ რეჟიმს დაწესებული ჯარიმა 2000 რუსული რუბლი გადაუხადეს. ისინი ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით გაასამართლა. (ნიუპოსტი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

**„ხელისუფლებისათვის ჩვენ ყველა სხვაგვარად მოაზროვნეები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები გხდებით მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ ნაციონალურ მოძრაობას ან მის ლიდერს კი არ ვუპირისპირდებით, არამედ ვითხოვთ სამართლიან სასამართლოს, გამჭვირვალე საარჩევნო სიებს, თავისუფალ მედიას, ანუ უბრალოდ ვიცავთ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებს. უფლებებს, რომლებმაც ჩვენ და ჩვენი სამშობლო ცივილიზებული სამყაროს ნაწილად უნდა აქციოს".**

**ბიძინა ივანიშვილი. 2011 წელი, 11 დეკემბერი**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეხუთე გვერდიდან*

ჩააგდო ქვეყანა და თვითონ ურეკშია წამოწოლილი. შეკვეთილში რომ საკონცერტო დარბაზს აშენებს, იქ არის, საკუთარი თვალით ვნახე. ბიძინა გახარებულია, ძალიან მაგარი რამე გამოდის, იურმალას უნდა მოვუჯოკროთო. მე პროექტიც ვნახე, ლამაზი რაღაც კი გამოვა, მაგრამ ხალხი რომ გამწარებულია, ამაზე არ ფიქრობს? „ნაციონალების“ შეკავება უკვე შეუძლებელია, სოფლებში საინიციატივო ჯგუფები შექმნეს, გამგებლების კანდიდატურები წარმოადგინეს, იქ სულ ეგენი არიან შეყრილები. ამ დროს კოალიციაში ჭამენ ერთმანეთს და გონზე არ არიან, რა უნდა გააკეთონ. ახალი გუბერნატორები რომ დანიშნეს, სად არიან, რას აკეთებენ? იმის ნაცვლად, რომ რაიონები დაელაგებინათ, შეიქმნა ჯგუფური კლანები და მიდის გარიგებები, ერთ-ერთი გუბერნატორი, რომელიც დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობს, ლამის ყოველდღე „ნაციონალების“ კართანაა ატუზული. ერთია კიდევ, ამბობენ, გია ჟორჟოლიანის კადრიაო, ვერ გავიგე, ამ „სოციალისტს“ გუბერნატორის კვოტა მისცეს? კაი, ბატონო, თუ მისცეს, ისეთი ვინმე ხომ უნდა შეარჩიოს, რომ ყოველღამ „ნაციონალებთან“ არ ეძინოს? ამ ყველაფერს ხალხი ხედავს და არ არის გამორიცხული, რამდენიმე რეგიონში არჩევნები ჩაიშალოს. უბრალოდ, ამომრჩეველი არ მივა და მორჩა. მე უკვე ვერ ვხვდები, რა ხდება, დანევროზებული ვარ. თითო სასოფლო თემში 20 კაცი მაინც არის წარმოდგენილი, აქედან უმეტესობა ყოფილი „ნაციონალია“. პრინციპში, კახი კალაძემ საიდან უნდა იცოდეს, სოფელ ჩოჩხათში რა ხდება? შენ წარმოიდგინე, ამათში ყველაზე მაგარი მაინც ადიკო გამოდგა, ბიძინას ძმა – არაფერს არ ეკითხებიან და მაინც ფხაკუნობს, თავისებურად მიჰყავს „პარადი“. მე პირადად ეს უფრო მირჩევნია, „პახმელიაზე“ მაინც ყვირის და ალაგებს სიტუაციას, ბიძინა საერთოდ გაჩუმებულია, ახლა მხოლოდ საკონცერტო დარბაზის მშენებლობაზეა გადართული“.

კოალიციას საარჩევნო კამპანია ჯერ არც აჭარაში დაუწყია. ეს მაშინ, როცა „ნაციონალები“ თითქმის დამკაში არიან გასულები – არ რჩება ადგილი, სადაც მათი ფეხი არ დაიდგმება და მათი დემაგოგია არ გაისმება.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, თავიანთ დეპუტატს, მურმან დუმბაძეს კაი ხანია ეძებენ და ვერ პოულობენ. ის ძალიან ნაწყენია, ბათუმის მერობის კანდიდატად რომ გიორგი ერმაკოვი წარადგინეს და ახლა აღარაფრის გაგონება აღარ უნდა. თურმე ისეა გაბრაზებული, ხალხიც კი ეზიზღება. მე პირადად არ მჯერა, რომ კოალიცია „ნაციონალებთან“ არის გარიგებული, მაგრამ რაკი ქართველი ხალხი ბრძენია (წინასაარჩევნოდ მაინც) და ისიც ამას ამტკიცებს, იძულებული ვარ, დავიჯერო.




**„როგორც ადგილობრივები ამბობენ, თავიანთ დეპუტატს, მურმან დუმბაძეს კაი ხანია ეძებენ და ვერ პოულობენ. ის ძალიან ნაწყენია, ბათუმის მერობის კანდიდატად რომ გიორგი ერმაკოვი წარადგინეს და ახლა აღარაფრის გაგონება აღარ უნდა. თურმე ისეა გაბრაზებული, ხალხიც კი ეზიზღება“**



**„პრინციპში, კახი კალაძემ საიდან უნდა იცოდეს, სოფელ ჩოჩხათში რა ხდება? შენ წარმოიდგინე, ამათში ყველაზე მაგარი მაინც ადიკო გამოდგა, ბიძინას ძმა — არაფერს არ ეკითხებიან და მაინც ფხაკუნობს, თავისებურად მიჰყავს „პარადი“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## არაკეთილსინდისიერი მეწარმეები კატის ხორცის გასაღებას ახერხებენ?

ნაცარა გოლიათი, თეთრი გოლიათი, ვენური ცისფერი, შავარდენი, კალიფორნიული, საბჭოური შინშილა – გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ბოცვრის ამ ჯიშებს ამრავლებდნენ. ოფიციალური სტატისტიკით, 1975 წელს ჩვენს ქვეყანაში მებოცვრეობის 35 სანაშენე მეურნეობა და ფერმა არსებობდა. შემდეგ, მეცხოველეობის სხვა დარგებთან ერთად, მებოცვრეობა, ფაქტობრივად, შეჩერდა. დღეს ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნა ბოცვრის ხორცზე მეტია, ვიდრე მიწოდება. საქართველოში მებოცვრეობის დიდი ფერმა აღარ არსებობს და ცხოველის მოშენება მცირე მეურნეობებში ხდება.

გავრცელებული ინფორმაციით, გამოჩნდნენ არაკეთილსინდისიერი მეწარმეები, რომლებიც ბოცვრის ხორცის ნაცვლად, დაუდგენელი ცხოველის ხორცს აბარებენ რესტორნებსა და სუპერმარკეტებში. ვინაიდან დაკლული ბოცვრისა და კატის აგებულება ძალიან ჰგავს ერთმანეთს, არსებობს ეჭვი, რომ მეწარმეები კატის ხორცის გასაღებას ახერხებდნენ.

რა მეთოდებს იყენებენ რესტორნები და სუპერმარკეტები კურდღლის ხორცის შესამოწმებლად?

ლაშა გუჯარელიძე დიდი ხანია ფერმერია. დისტრიბუტორები მისგან ყიდულობენ ცოცხალ ბოცვერს და ხორცს ყველაზე მსხვილ ჰიპერმარკეტებსა და რესტორნებში აბარებენ. ფერმერი ამბობს, რომ რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთი რესტორნის წარმომადგენელი დაუკავშირდა, რომელმაც აცნობა, რომ სხვა დისტრიბუტორისგან მიღებული დაკლული კურდღლის ხორცი არაბუნებრივად წითელი შეფერილობის იყო:

„ვინაიდან ცოტა ხნის წინ უკრაინაში კატის ხორცის კურდღლის ხორცად გასაღების ფაქტები დაფიქსირდა, გაჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა, ჩვენთანაც ჰქონოდა ადგილი მსგავს შემთხვევას“, – განაცხადა ლაშა გუჯარელიძემ.

სხვადასხვა რესტორნის წარმომადგენლები პირად საუბარში ადასტურებენ, რომ საეჭვო შემთხვევები კურდღლის ხორცთან დაკავშირებით ჰქონიათ. რაც შეეხება ჰიპერმარკეტებს, მათი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შეუძლებელია მათი მოტყუება, ვინაიდან ხორცის შემოწმების უმკაცრეს ნორმებს ზედმიწევნით იცავენ.

ზოგი რესტორნისა და სუპერმარკეტის წარმომადგენელმა კურდღლის ხორცის შემოწმების უფრო მარტივ და უტყუარ ხერხს მიაგნო:

„თავდაცვის მიზნით, ფერმერები დაკლულ ბოცვერს ერთ-ერთ თათზე ვუტოვებთ ხოლმე ბეწვს, რომ ჩაბარების დროს თუნდაც 1% ეჭვი არ გაჩნდეს იმის შესახებ, ნამდვილად არის თუ არა ხორცი კურდღლის. კატისა და ბოცვრის გარჩევა სწორედ თათის მეშვეობით არის ყველაზე მარტივი. ეს მოთხოვნა მაღაზიებისა და რესტორნების წარმომადგენლებმა თავად წამოგვიყენეს“, – აცხადებს ფერმერი მიშა.

ბოცვრის გაყინული ხორცი საქართველოში იმპორტით, ძირითადად, უკრაინიდან შემოდის. გაყინულ პროდუქტს, რომელმაც უნდა გაუძლოს ხანგრძლივ ტრანსპორტირებას, დაკარგული აქვს როგორც გემოვნური, ისე სასარგებლო თვისებები. არადა, ბოცვრის ხორცი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია, რომლის საკვებად მიღება რეკომენდებულია ყველა ასაკში, მათ შორის დიაბეტით დაავადებულისთვისაც. ბოცვრის გულ-ღვიძლი დელიკატესია და უკრაინაში 1 კილოგრამი 25 დოლარი ღირს. ჩვენთან კილოგრამი კურდღლის ხორცის ფასი 15-16 ლარის ფარგლებში მერყეობს. (ბპნ)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნათია ფანჯიკიძე: პროკურორი უნდა ჩასვან ციხეში უსაქმურობისთვის



ირაკლი ალასანიას მეუღლე ნათია ფანჯიკიძე დავით კოდუას ცემის ფაქტს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ეხმაურება.

„ვერავის ვერ განვსჯი, კიდევ კარგი ჩემი საქმე არაა განსჯა, რეალურად და ბოლომდე არავინ ვიცით, რა მოხდა, ასე რამ გაამწარა ის ადამიანი, მაგრამ ზოგადი მსჯელობით, ყველამ თუ ამოუშვა მონსტრები, ძნელი კი არაა ამ ინსტინქტს გაყოლა, აგრესია, იმდენი, რომ თავი დაიცვას, ყველაზე უწყინარ ადამიანსაც აქვს, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს გასაჭირში უნდა დაუძახო მონსტრებს, უფსკრულია, სხვისი დაზიანება არის თვითდაზიანების პირდაპირპროპორციული. როგორ უნდა მოიშორო ღამის კოშმარებიდან ეს სახე? და თუ იოლად გშორდება და არ გტკივდება ყველაფერი, ცოტა შენც ფსიქოპათი გამოდიხარ, არა? აფექტი რომ გაივლის, მერე? „მართალი ვიყავი“ – ეს თვითდარწმუნება არ გიშველის. ჰოდა, საკუთარი თავის დამსხვრევას, სჯობს არსებობდეს წესიერი სასამართლო. ყველა მსხვერპლია, ნაცემიც და მცემელიც. სახელმწიფომ უნდა გადაარჩინოს ადამიანები ამისგან. თუ ამ კაცს შეტანილი ჰქონდა სარჩელი და ამდენ ხანს არ მიაქციეს ყურადღება, პროკურორი უნდა ჩასვან ციხეში უსაქმურობისთვის“. – წერს ნათია ფანჯიკიძე. (რეპორტიორი)

## დავით კოდუას სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაიყვანენ



დავით კოდუას დედის, ლაურა ლაჭავას განცხადებით, მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და მას, სავარაუდოდ, ორ დღეში სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაიყვანენ.

„ამ დროისთვის აპარატზეა მიერთებული. გვეგონა, რომ დღეს გამორთავდნენ, მაგრამ უარი გვითხრეს. თავში კიდევ რაღაც სხვა სიმძიმე აღმოაჩნდა. ჯერჯერობით არ ვიცი, რა გველოდება. გადაყვანა მინდა უცხოეთში. თუმცა ორი დღის განმავლობაში საზღვარგარეთ გადაყვანის უფლებას არ გვაძლევენ. სავარაუდოდ, ზეგ გადავიყვანთ“, – განაცხადა ლაჭავამ. (ნიუპოსტი)

## უწყებათაშორისმა კომისიამ წინასაარჩევნოდ რეკომენდაციები გასცა



უწყებათაშორისმა კომისიამ პოლიტიკური პარტიების ქცევის წესების შესახებ რეკომენდაცია მიიღო.

„ჩვენ მივიღეთ რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარი წევრებისა და აქტივისტებისთვის უნდა შეიმუშაონ ქცევის წესები, რათა პარტიის თითოეულმა წევრმა იცოდეს, რომ სხვა პარტიის წევრისთვის შეურაცხყოფის მიყენება, პლაკატის პლაკატზე გადაკვრა, ან თუნდაც გაბრუებულ მდგომარეობაში ქუჩაში სიარული არის აბსოლუტურად შეუსაბამო პოლიტიკურად ჯანსაღ პროცესთან. თუ რომელიმე ადამიანი ჩართულია პოლიტიკურ პროცესში, ამ დროს ფხიზელი უნდა იყოს. გარდა ამისა, ჩვენ მივიღეთ რეკომენდაცია სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ყველამ თავი შეიკავოს ყველანაირი ტიპის იმპიჩმენტის პროცედურისგან. ეს ეხება გამგებლის იმპიჩმენტსაც და თუკი ასეთი რამ ვინმეს აქვს დაგეგმილი, ეს უნდა შეჩერდეს. აგრეთვე, გავეცით რეკომენდაცია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში არ მოხდეს ატესტაციები და კონკურსები 15 ივნისამდე“, – განაცხადა წულუკიანმა. (ფრონტნიუსი)

## მაია ფანჯიკიძემ სებასტიან კურცი საქართველოში დაპატიჟა

ვენაში ვიზიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ სებასტიან კურცთან შეხვედრაზე ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფართო სპექტრი განიხილა.

საუბარი შეეხო საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებას, რეგიონული უსაფრთხოების პრობლემატიკას. კერძოდ, უკრაინის კრიზისს, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობასა და სხვადასხვა სფეროში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერისა და ეფექტიანი იმპლემენტაციის მნიშვნელობას, ასევე საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაჩქარებული ტემპით შემოღების შესაძლებლობას.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაადასტურა თავისი ქვეყნის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ევროპული მისწრაფებებისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

თავის მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ავსტრიელი კოლეგა საქართველოში ვიზიტით მოიწვია. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

**„მედია უნდა გავათავისუფლოთ სახელმწიფო კონტროლისაგან, იგი უნდა იქცეს ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემს მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე გააკეთოს არჩევანი;**

**სასამართლო უნდა დავიცვათ ნებისმიერი გარე გავლენისგან, ხოლო მართლმსაჯულების აღსრულება უნდა დავაფუძნოთ ერთადერთ პრინციპზე კანონის უზენაესობაზე“.**

**ბიძინა ივანიშვილი 2011 წელი, 11 დეკემბერი**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...



# პროკურატურა დაკითხვაზე გივი თარგამაძესაც დაიბარებს?



**„ალიას“ საპატიო გენერალი, ტრისტან წითელაშვილი დაუკავშირდა:**

– „ალიასთან“ წინა ინტერვიუში გივი თარგამაძე გაკვრით ვახსენე და დაგპირდით, რომ ფაქტებით ვამხელდი მას, რადგან „ნაციონალებზე“ რაც არ უნდა თქვა, ტყუილიაო, ამბობენ.

ახლა დავიწყებ დოკუმენტებით საუბარს და მითხრან მერე, რომ ასე არ იყო. როდესაც გივი თარგამაძე ხელისუფლებაში კარგად „მოჯდა“ და მმართველობის ბერკეტები აიღო, თანამდებობიდან გამომდინარე, მისი მოვალეობა იყო ძალოვნების მიმართ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, შეთანხმებები ძალოვან მინისტრებთან, საბიუჯეტო ხარჯების კონტროლი და სხვა დანარჩენი საკითხები. 2007 წელს თარგამაძე თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ამ წელს საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი 513 270 000 ლარი გახლდათ. თარგამაძე და კეზერაშვილი პარლამენტში წინადადებით შევიდნენ და მოითხოვეს ბიუჯეტის გაორმაგება. ბიუჯეტის ამხელა რაოდენობით გაზრდა ნიშნავს, რომ ისინი ამ თანხებს არასწორი მიზნებისთვის იყენებდნენ, რადგან ამხელა თანხა ამ სამინისტროსთვის საჭირო არ იყო. ვინაიდან პარლამენტი მათ ხელში იყო და როცა უნდოდათ რიგგარეშე სხდომას მაშინ იწვევდნენ და როცა უნდოდათ მაშინ ისვენებდნენ, მოიწვიეს რიგგარეშე სხდომა და ამ სხდომის საფუძველზე წინააღმდეგობებისა და პრობლემების გარეშე დაამტკიცეს და გააორმაგეს საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი, 442 100 ლარი დაამატეს.

სწორედ ეს გაორმაგებული ბიუჯეტის თანხებია ჩადებული იარაღის კონტრაბანდის ბიზნესში, რაზეც მე „ალიას“ ადრეც ველაპარაკე, ოღონდ, ზოგადად. როდესაც დავინტერესდი, თუ სად წავიდა ის თანხები და დავიწყე ამ მხრივ მუშაობა, აღმოვაჩინე, რომ ის ტექნიკა, რომელიც ამ ფულით იყო ნაყიდი, საქართველოში არ შემოსულა და სად წავიდა? პირდაპირ სხვა ქვეყნებში იყო გადაყიდული. გივი თარგამაძე უშუალოდ იყო ჩართული ამ იარაღის კონტრაბანდულ ბიზნესში, რადგან მისი, როგორც კომიტეტის თავმჯდომარის თანხმობითაა ეს ყველაფერი გაკეთებული.

ნუსხაში პირდაპირ არის მითითებული, რომ 2007 წელს საჰაერო თავდაცვის საშუალებების შესყიდვისთვის, მხოლოდ ერთ ოპერაციაზეა საუბარი, სხვებსაც ჩამოგითვლით, 50 მილიონი ლარია გადარიცხული, თუმცა არც ერთი საჰაერო სარაკეტო კომპლექსი არ შემოუტანიათ. ამას გარდა, მე აღმოვაჩინე, რომ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისთვის ბინების მშენებლობაში გამოყოფილია 30 მილიონი ლარი, სადაც 2007 წელს არაფერი არ გაკეთებულა და არც ერთ სამხედროს ბინა არ მიუღია. უბრალოდ, თანხაა გაწერილი, თითქოს ეს კეთდებოდა. გაოცებული ვიყავი, როდესაც ამ ნუსხას ვკითხულობდი. ადამიანი ამ საკითხში გამოცდილი თუ არ არის, ისეა ეს ყველაფერი შედგენილი, დაიჯერებ.

2008 წლის ომის დროს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კავშირგაბმულობის სისტემამ ნახევარი დღე რომ იმუშავა, მეტი არა, ესეც ვთქვი და დოკუმენტებით ჩანს, რომ და ამ ნახევარი დღისთვის 25 მილიონი ლარია გადახდილი. როდესაც დავინტერესდი და მივყევი ციფრებს, თუ სად იხარჯებოდა ამდენი ფული, აღმოვაჩინე, რომ ეს ტექნიკა ოფიციალური გზებით არ იყო შესყიდული, ეს უბრალოდ არის „ჰარისის“ ტიპის რადიოსადგური, ანუ მათ ამერიკიდან ჩამოწერილი ტექნიკა წამოიღეს, მათი ნაცნობობის ხარჯზე შეიძლება იჩუქეს კიდეც და აქ გააფორმეს, ვითომ ამ ყველაფერში დიდი ფული იყო გადახდილი. ის თანხები, რომელიც ბიუჯეტიდან „იხსნებოდა“, სეიშელის კუნძულებზე ფირმა „ბელტრეინინგში“ ირიცხებოდა. თარგამაძე ამ ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდა. ამას გარდა, როცა ჩვენ რუსებისგან თავის დროზე სამხედრო ბაზები გადავიბარეთ, კერძოდ სენაკის ბაზა, იქ არის ანგარები, სადაც ათავსებდნენ მოიერიშე თვითმფრინავებს, ეს არის რუსების დროს გაკეთებული ანგარები. ამ ნუსხაში კი წერია, თითქოს ეს ანგარები 2007 წელს თავდაცვის სამინისტრომ ააშენა, ამაზე კი 35 მილიონი ლარია გამოყოფილი. მე ჩავედი სენაკში და პირადად შევამოწმე მართლა იყო თუ არა აშენებული ახალი ანგარები, თუმცა იქ ისევ რუსების დროინდელი ანგარები დამხვდა.

**— ეს დოკუმენტები თქვენ თუ ჩაგივარდათ, ხელისუფლებასაც ექნება, მაგრამ თარგამაძე რომ დაკითხვაზე დაებარებინოთ, არ გვახსოვს. რატომ არ ჰკითხავენ, თქვენი აზრით?**

– ვერ გეტყვით, როგორც სააკაშვილზე უთხრეს ამერიკელებმა, რომ, თუ მას შეეხებით, ჩვენ სამაგიეროდ სხვა რაღაცას გავაკეთებთო, შეიძლება იგივე მდგომარეობაა თარგამაძესთან დაკავშირებითაც, დაზუსტებით არ ვიცი. შეიძლება რაღაც მომენტებს ელოდებიან პროკურატურაში, რომ უფრო მეტი სამხილი მოიპოვონ. ყველაფრის სწორად გაკეთებაა საჭირო, რომ მერე იმის ძახილი არ დაიწყოს, რომ მასზე პოლიტიკური დევნა ხორციელდება, მაგრამ არა მგონია, ამან უშველოს მაგათ. უკვე შეშინებულები არიან და ერთმანეთს დაერივნენ. აეროპორტის გზაზე, სიბინძურისა

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხელისუფლების წარმომადგენლები ბიძინა ივანიშვილთან არ კონტაქტობენ?



ხელისუფლების წარმომადგენლები NDI-ის კვლევის იმ ნაწილს ეხმაურებიან, რომლის მიხედვითაც, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ერევა.

„არ ვიზიარებ, თითქოს ბიძინა ივანიშვილი ფარულად მართავს ხელისუფლებას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, რაც ის გადადგა, იმ დღიდან მოყოლებული მასთან არა თუ შეხვედრა, არა თუ რაიმე ინსტრუქციის მიღება, არამედ სატელეფონო კონტაქტიც არ მქონია. ეს იმას მოწმობს, რომ იუსტიციის სამინისტრო, ყველა სხვა სამინისტრო და პრემიერ-მინისტრი არიან დამოუკიდებელი საქმიანობის პროცესში. სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, რომ სადღაც ჩრდილოვან პირობებში ყოფილი პრემიერი კვლავ მართავს ქვეყანას, უნდა დასრულდეს“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

კვლევის შედეგებს არც ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ალექსი პეტრიაშვილი იზიარებს.

„ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი პოლიტიკაში ახლაც ერევა. სამწუხაროდ, არ მქონია მასთან საქმიანი კომუნიკაცია მას შემდეგ, რაც მან პოლიტიკა დატოვა, ისევე, როგორც ჩემი კოლეგების აბსოლუტურ უმრავლესობას. შესაბამისად, რაიმე გადაწყვეტილებაში მისი მონაწილეობა თითიდან გამოწოვილი, კონსპირაციული თეორიაა“, – განაცხადა პეტრიაშვილმა.

„ცუდია, თუ საზოგადოებას ასეთი აზრი გაუჩნდა, მინდა, დავარწმუნო ისინი, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და მთავრობის მუშაობაში არ ერევა. ბიძინა ივანიშვილის სურვილი პოლიტიკაში ყოფნა რომ ყოფილიყო, ის დღეს პრემიერი იქნებოდა. ასე რომ, დღეს მთავრობა საქმიანობს ბიძინა ივანიშვილის ჩარევის გარეშე“, – განაცხადა უმრავლესობის წევრმა მანანა კობახიძემ.

დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე კვლევის იმ ნაწილს ეხმაურება, რომელიც ევროკავშირთან დაახლოების სურვილსა და ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს ეხება.

„მე ძალიან მახარებს, რომ გაიზარდა ევროკავშირთან და ნატო-სთან დაახლოების მომხრეთა რაოდენობა. ხოლო თუ იმ ადამიანების რაოდენობამ იკლო, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველოში დემოკრატიაა, ე.ი. ხელისუფლების მოქმედებას საზოგადოება ასე აღიქვამს, ანუ ხელისუფლება მას სათანადოდ ვერ აწვდის ინფორმაციას“, – განაცხადა ხმალაძემ.

კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევაზე დაყრდნობით, არ იგრძნობა საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, თუმცა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით კრიტიკული შენიშვნები ნათელია.

„საინტერესოა, რომ ბევრი მონაცემი იყო 50%-ის ფარგლებში, ანუ არ არის ცალსახა და გამოკვეთილი შედეგები, რაც მიმაჩნია პლუსად. ტენდენცია, რომ საზოგადოებრივი აზრი აღარ არის ისეთი მარტივი და აზრთა მრავალფეროვნება გვაქვს, ჩემთვის საინტერესოა“, – განაცხადა საყვარელიძემ.

ექსპერტისთვის, საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისით, საგულისხმო იყო ბიძინა ივანიშვილის მიმართ დამოკიდებულება და ივანიშვილ-მარგველაშვილის ურთიერთობის თემა.

ის, რომ საზოგადოებას ყოფილი პრემიერ-მინისტრი „ქართული ოცნების“ პოლიტიკის განმსაზღვრელად მიაჩნია, ექსპერტის მოსაზრებით შემდეგი გარემოებიდან გამომდინარეობს:

„საზოგადოება ინფორმაციას იღებს მედიისგან. ჟურნალისტები აძლევენ ტრიბუნას ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას, ისინი კი ხშირად აღნიშნავენ, რომ ივანიშვილი განსაზღვრავს „ქართული ოცნების“ პოლიტიკას. სწორედ ამაზეა აწყობილი მთელი „ნაციონალური მოძრაობის“ რიტორიკა. ამავე დროს ამის მიზეზია ხელისუფლების მადლიერება ივანიშვილის მიმართ და რაც მთავარია, ივანიშვილი მმართველი გუნდის პოლიტიკური ელიტის ამა თუ იმ ღონისძიებაზე ჩნდება ხოლმე. ასე რომ, ამ მხრივ, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური ძალის მხრიდან მოსული ინფორმაცია საფუძველს აძლევს მოსახლეობას, იფიქროს, რომ ივანიშვილი გავლენას ახდენს ხელისუფლებაზე და განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას“.

NDI-ს კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 62% მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლების საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირად რჩება.

კითხვაზე – არის თუ არა საქართველოში ამჟამად დემოკრატია, 46% პასუხობს, რომ დიახ, 41% – არა, 13%-მა – არ იცის. (რეპორტიორი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

**„ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას სამართლიანი სასამართლოსთვის და სამართალდამცავი სტრუქტურების პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებისათვის, რათა სამართალი დავუბრუნოთ ხალხს“.**

**ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეშვიდე გვერდიდან*

და სიბნელის ხვრელი რომაა, მანდ ჰქონდათ ამ რამდენიმე დღის წინ შეხვედრა, სადაც უკმაყოფილება მოუვიდათ და ერთმანეთს ფარდა ჩამოხსნეს. ბოლო სხდომა იყო, თუ არ ვცდები ბოკერიას, უგულავას, გიგი წერეთლის შეკამათება რომ მოხდა და ერთმანეთს თავზე დაამხვეს ყველაფერი. ერთმანეთს წამოაძახეს, ვინ ვის ცოლს ხმარობდა, მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის.

მე კონკრეტული ციფრებით ვისაუბრე, ახლა უკვე პროკურატურის საქმეა, პოლიტიკურ დევნაზე ამათი აყაყანების შიშით, გაბედავს თუ არა თარგამაძის წინააღმდეგ სამართლებრივი ძებნის გამოცხადებას. შეიძლება მიდის კიდეც ამ საკითხებთან დაკავშირებით მუშაობა. თუ მათ რაიმე ინტერესი გაუჩნდებათ ამ დოკუმენტების მიმართ, მე მზად ვარ, გავესაუბრო მათ და წარვუდგინო ეს მასალები, გავაცნო ის კონკრეტული დანაშაულები, რომელსაც ეს კაცი სჩადიოდა წინა ხელისუფლების დროს. მე არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არ გამაჩნია, ამიტომ ჩემი მიზანია, თქვენი საშუალებით ამ ადამიანების სრული ლუსტრაცია მოვახდინო და დავანახო საზოგადოებას, ვინ არის ეს ხალხი და რა დანაშაულებს სჩადიოდნენ წლების მანძილზე. ეს არ ეხება მარტო თარგამაძეს, ეს მთლიანად „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს ეხებათ – სააკაშვილს, უგულავას, კეზერაშვილს, ბოკერიასა და კიდევ სხვებს. მე არ მეშინია მათი, რაც არ უნდა იძახონ და სიცრუე დამწამონ, ფაქტები სახეზეა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე პირადად ვარ მოწმე 2008 წლის ომის დროს, როგორ მიიღო თარგამაძემ გადაწყვეტილება, მშვიდობიანი მოსახლეობა იქ ჩაეტოვებინა, როგორ ამბობდა, რომ საჭირო იყო მსხვერპლი, რასაც პირადად მე ვისმენდი. მე ჩემს სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ, მე მინდა დაინახოს საქართველოს მოსახლეობამ, რომ არ შეიძლება ასეთი ადამიანების ხელისუფლებაში დაბრუნება.



**„ის ტექნიკა, რომელიც ამ ფულით იყო ნაყიდი, საქართველოში არ შემოსულა და სად წავიდა? პირდაპირ სხვა ქვეყნებში იყო გადაყიდული. გივი თარგამაძე უშუალოდ იყო ჩართული ამ იარაღის კონტრაბანდულ ბიზნესში, რადგან მისი, როგორც კომიტეტის თავმჯდომარის თანხმობითაა ეს ყველაფერი გაკეთებული“**




**„აეროპორტის გზაზე, სიბინძურისა და სიბნელის ხვრელი რომაა, მანდ ჰქონდათ ამ რამდენიმე დღის წინ შეხვედრა, სადაც უკმაყოფილება მოუვიდათ და ერთმანეთს ფარდა ჩამოხსნეს. ბოლო სხდომა იყო, თუ არ ვცდები ბოკერიას, უგულავას, გიგი წერეთლის შეკამათება რომ მოხდა და ერთმანეთს თავზე დაამხვეს ყველაფერი“**

**„ალია“ ბრალდებების ადრესატთან, გივი თარგამაძესთან დღის მანძილზე ცდილობდა დაკავშირებას, მაგრამ მან არც ჩვენს ზარებს უპასუხა და არც მესიჯებს.**

იმის გასარკვევად, არის თუ არა თარგამაძეზე აღძრული საქმე, ან შესულია თუ არა საჩივარი, „ალია“ პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს თემურ დოლიძეს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა: „ამ ეტაპზე კონკრეტული საქმე თარგამაძის წინააღმდეგ აღძრული არ არის, არც საჩივარია შემოტანილი, რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს მის წინააღმდეგ, სტატიაში მოყვანილ ფაქტებს გავეცნობით, შევისწავლით და თუ გამოიკვეთება დანაშაულის ნიშნები, რა თქმა უნდა, გივი თარგამაძეს დავიბარებთ“.

»» ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ლაშა აბაშიძე: სამმხრივი სამიტის ფარგლებში შესაძლოა, მნიშვნელოვანი პროექტი დაიგეგმოს




როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა, ლაშა აბაშიძემ განაცხადა, აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის სამმხრივი სამიტის ფარგლებში, შესაძლებელია, რაიმე ახალი, მნიშვნელოვანი პროექტი დაიგეგმოს.

„თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის შემდეგ ჩამოვა აზერბაიჯანის პრეზიდენტი. გაიმართება სამმხრივი სამიტი პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. ასევე, საკმაოდ მნიშვნელოვანია მათი თანმხლები დელეგაცია, რადგან საქართველოს ასევე ეწვევიან სახელმწიფო მინისტრები, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის დარგის მინისტრები, წარმომადგენლობითი დელეგაცია ბიზნეს სექტორიდან“, – განაცხადა ლაშა აბაშიძემ და აქვე აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან ერთად, აეროპორტში თურქეთის პრეზიდენტ აბდულა გიულის დახვდა. (ინტერპრესნიუსი)

## „დასავლეთი დემოკრატიას ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად იყენებს“



საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, აზერბაიჯანულ გამოცემა Haqqin.az-თან საუბრისას, დასავლეთი ორმაგ სტანდარტებსა და დემოკრატიის საკითხის პოლიტიკური ზეწოლისთვის გამოყენებაში დაადანაშაულა.

„აქ საქმე დასავლეთის ორმაგ სტანდარტებთან გვაქვს. როდესაც საქმე ეხება საუდის არაბეთს, დასავლეთს რატომღაც არ ახსენდება დემოკრატია და ადამიანის უფლებები. მათთვის ეს არ არის მნიშვნელოვანი საუდის არაბეთში ან ყატარში. როგორც კი აზერბაიჯანზე მიდგება საქმე, დასავლეთს მომენტალურად ახსენდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ. პირველად, ახალ ისტორიაში აზერბაიჯანის საერთაშორისო მნიშვნელობა საუდის არაბეთის დონემდე გაიზარდა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ აზერბაიჯანმა საკუთარი დემოკრატია არ უნდა განავითაროს. უბრალოდ, არის დრო, როდესაც დასავლეთი იყენებს დემოკრატიას ამა თუ იმ ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად. პირადად ვიცნობ ბევრს იმ ადამიანთაგან, ვინც ამას აკეთებდა. დამიჯერეთ, მათ წარმოდგენაც არ აქვთ, რამდენად მყიფეა სიტუაცია“, – განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ დემოკრატიის განვითარება, პირველ რიგში, სწორედ აზერბაიჯანის სახელმწიფოს ინტერესებშია. (ნიუპოსტი)

ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები...

## შტეფან ფულე: სად იქნება ბოლო — კიევთან, კიშინიოვთან თუ თბილისთან?



გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისრის, შტეფან ფულეს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრის თემა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა და ის ნაბიჯები იყო, რომელსაც რუსეთი ინიციატივაში მონაწილე ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესაფერხებლად დგამს.

როგორც შტეფან ფულემ განაცხადა, თავდაპირველად ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობაში ჩართვა რუსეთსაც შესთავაზა, თუმცა უარი მიიღო. ბრიუსელის შემდეგი წინადადება იყო გარკვეული არაფორმალური ჩარჩოს შექმნა, რომლის ფარგლებშიც რუსეთი ინფორმირებული იქნებოდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შესახებ.

შტეფან ფულეს განცხადებით, როდესაც დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რამდენად შეთავსებადია ერთმანეთთან ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობა და ევრაზიული კავშირი, დასავლეთმა შესთავაზა კონსულტაციები, რათა ევროპაში ახალი გამყოფი ხაზი არ გაჩენილიყო. მისი თქმით, მოსკოვის უარი ამ შეთავაზებებზე, დიდი ხნით ადრე იყო გადაწყვეტილი.

„ჩვენ მხოლოდ ახლა ვხედავთ მთლიან სურათს და უკეთ გვესმის, რატომ აცხადებდა ვლადიმერ პუტინი წლების წინათ, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევა მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი კატასტროფა იყო და რატომ ითქვა 2008 წლის ბუქარესტის სამიტისას ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე, რომ უკრაინა ხელოვნური სახელმწიფოა. ასოცირების შეთანხმებების პროცესს ჩვენი პარტნიორების სუვერენიტეტის 1%-ც არ მიაქვს, ის არ აყენებს არჩევანს მოსკოვსა და ბრიუსელს შორის. ის აძლიერებს მათ შესაძლებლობებს, მიიღონ სუვერენული გადაწყვეტილება თავიანთი ორიენტაციის შესახებ, როდესაც საბაჟო კავშირს მისი წევრი ქვეყნების სუვერენიტეტის ნაწილი მოსკოვში გადააქვს“, – განაცხადა ფულემ. ის შეწუხებულია პროპაგანდით, რომელსაც მოსკოვი ახორციელებს, მათ შორის უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისას.

„მე ძალიან მაწუხებს ეს პროპაგანდა, რომელიც ერთი იზოლირებული ჯგუფიდან ქმნის მთლიან სურათს იმისა, რაც ხდება უკრაინის დასავლეთ ნაწილში. ყირიმში არალეგიტიმური რეფერენდუმის დროს იყო წარმოდგენილი ორი რუკა – ერთი ფაშისტური ემბლემით და მეორე რუსეთის დროშის ფერებში. როდის აპირებს კრემლი, დაამთავროს ეს პროპაგანდა? ყირიმი, როგორც ჩვენ ვხედავთ აღმოსავლეთ უკრაინის მაგალითზე, არ არის ამ ყველაფრის ბოლო და სად იქნება ბოლო – კიევთან, კიშინიოვთან, თბილისთან თუ სად?!“, – აღნიშნა ფულემ.

მისივე თქმით, ის, რაც აღმოსავლეთ ევროპაში ხდება, ევროკავშირს უფრო ერთსულოვანს ხდის და თუ რუსეთი დღევანდელ კურსს გააგრძელებს, გაგრძელდება ევროკავშირის მიერ რუსეთის იზოლაციის პოლიტიკაც, მათ შორის, სანქციების მესამე ეტაპი ამოქმედდება. (ფრონტნიუსი)

## ქართული მედიის კვლევის პროექტს TNS Opinion-ი უხელმძღვანელებს




არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ ქართული მედიის სანდოობის ხარისხის შეფასებისა და საქართველოში მედიაგარემოს შესწავლის მიზნით, კომპლექსური კვლევის ჩატარებას გეგმავს.

„როგორც წესი, მედიაგარემოს შესწავლა მხოლოდ წინასაარჩევნოდ ხდება, ეს პროექტი კი პერმანენტული ხასიათის იქნება და სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება. კვლევა იქნება მულტიკომპონენტური და მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ საფეხურებს; გაანალიზდება ბეჭდვითი და ელექტრონული მედია და შესწავლილ იქნება საზოგადოებისა და ექსპერტთა განწყობები“, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

ამასთანავე, მათივე განმარტებით, „მოქალაქემ“ პარტნიორად აირჩია მსოფლიოს უმსხვილესი კვლევითი ორგანიზაცია TNS-ი, რომელმაც საქმიანობა დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 1946 წელს.

„დღეს ორგანიზაცია 80-ზე მეტ ქვეყანაში საქმიანობს და დასაქმებული ჰყავს 15000-ზე მეტი სპეციალისტი. TNS-ი პოლიტიკურ, მედიისა და სოციალურ კვლევებში მსოფლიო ლიდერია და ცნობილია, როგორც კვლევითი პარტნიორი, რომელიც მსოფლიო პოლიტიკურ და ბიზნესკორპორაციებს სანდო და კომპეტენტურ მონაცემებზე დაყრდნობით აწვდის პრაქტიკულ ანალიზსა და რეკომენდაციებს. TNS-ის კლიენტები არიან როგორც სამოქალაქო სექტორი, ისე სამთავრობო უწყებები, პოლიტიკური პარტიები, მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მსხვილი საერთაშორისო თუ ეროვნული ინსტიტუტები“, – განმარტავენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

„TNS Opinion-ი, რომელიც განთავსებულია ბრიუსელში, საქართველოში რამდენიმე წელია ახორციელებს კვლევით პროექტებს და კარგად იცნობს ქვეყანაში არსებულ ვითარებას. პროექტის განხორციელება დაიწყება უახლოეს პერიოდში და პირველი შედეგები, სავარაუდოდ, სამ თვეში გამოქვეყნდება“, – აცხადებენ ორგანიზაციაში. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

„დღეს ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას იმისთვის, რომ მკვეთრად შევცვალოთ საქართველოს თითოეული მოქალაქის ცხოვრება უკეთესობისკენ“.

41

ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...



# რატომ არ არის ანტიდისკრიმინაციული კანონი კატასტროფა ზაალ კასრელიშვილისთვის?

## რას ამბობენ კავკასიელები კანონზე?

**საქართველოში აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები ერთობლივად პირველად ჩამოდიან. ვიზიტის ოფიციალური განმარტება ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაა, მაგრამ რა კულუარული საუბრები გაიმართება აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის ხელმძღვანელი ზაალ კასრელიშვილი „ალიას“ კითხვებს უპასუხებს:**

**— 6 მაისს, გიორგობა დღეს, „თბილისი-სამიტი-2014“ გაიმართება, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტების კულისებს მიღმა საუბრის თემები რა შეიძლება იყოს?..**

– საქართველოს პროდასავლური არჩევანის გამო, გარკვეული საფრთხეები იქმნება, რადგან საერთაშორისო არენაზე არის ძალიან აგრესიული ფონი პოლიტიკაში. ვინაიდან თურქეთი და აზერბაიჯანი ჩვენი მეზობლები არიან და ჩვენთან ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული, ბუნებრივია, როგორც მორალური, ასევე ფიზიკური მხარდაჭერის დასაფიქსირებლად, საერთაშორისო საზოგადოებისთვის და ყველა იმ ქვეყნისთვის, ვისაც საქართველოს პროდასავლური არჩევანი თვალში არ მოსდის, მათთვის აფიქსირებენ თავის პოზიციას, რომ თურქეთი და აზერბაიჯანი ჩვენი მეგობრები არიან. შესაბამისად, გაჭირვებისა და საფრთხის შემთხვევაში, გვერდით დაგვიდგებიან. მათ უშუალოდ ეხებათ რეგიონალური უსაფრთხოება. კერძოდ, თუკი საქართველოში უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა, ეს ნიშნავს, რომ ავტომატურად აზერბაიჯანსაც და თურქეთსაც პრობლემები შეექმნებათ.

**— უკრაინაში სიტუაცია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, როგორც კი რუსეთი უკრაინას დაასრულებს, არის თუ არა საფრთხე, რომ მისი აგრესია საქართველოზე წამოვიდეს, ამიერკავკასიაზე, აზერბაიჯანი-თურქეთის პრეზიდენტების საუბრის ერთ-ერთი თემა ესეც ხომ არ იქნება?..**

– რა თქმა უნდა, ესეც ერთ-ერთი ძირითადი თემა იქნება საუბრის. სამწუხაროდ, დასავლეთში პოლიტიკურმა ძალებმა ჩვენი მიმართვა ყურად არ იღეს, როცა ვამბობდით, რომ ყირიმის შემდეგ იქნება სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინა, ახლა ბევრად უფრო გართულებულია სიტუაცია. რა თქმა უნდა, უკრაინაში მიმდინარე პროცესები პირდაპირ კავშირშია არა მარტო საქართველოსთან, არამედ მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეშია საფრთხე, მათ შორის, ბალტიისპირეთში. რა თქმა უნდა, უკრაინის შემდეგ თუ უკრაინის პარალელურად არა, გეგმაშია აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და ბალტიისპირეთის ქვეყნები.

**— არც ისე დიდი დრო გავიდა, რაც პუტინი ბაქოში ოფიციალური ვიზიტით იყო, ის შეხვდა ალიევს, ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს პუტინმა კატეგორიული მოთხოვნა დაუყენა, რომ ბაქო-ჯეიჰანის ალტერნატიული მარშრუტზე ემუშავა და ენერგორესურსებმა საქართველოზე არ უნდა გაიაროსო.**

– ენერგომატარებლების ტრასები საქართველოზე გაივლის და ეს თუ არ მოხდება, მაშინ მან უნდა გაიაროს სომხეთის ტერიტორიაზე, ხოლო ეს არ მოხდება იმ მარტივი ჭეშმარიტების გამო, რომ სომხეთი კონფლიქტშია აზერბაიჯანთან და თურქეთთან. გარდა ამისა, სომხეთი მოიაზრება თურქეთის ვასალ ქვეყნად და სომხეთის ტერიტორიაზე რამდენიმე დიდი ქვეყანა არ გაატარებს ენერგომატარებლების ხაზებს, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ეს თემა ვაჭრობის საგნად არ იქცეს. ჩვენ ვეჭვობთ, რომ ამ თემაზე არ იყო საუბარი, თუმცა გამორიცხული არაფერია.



**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოში 17 მაისს იგეგმება საერთო კავკასიური გეიაღლუმის მოწყობა. მახსოვს, „ალიასთან“ ინტერვიუში აცხადებდით, რომ 2013 წლის 17 მაისს მუსლიმანი სასულიერო ლიდერები აპირებდნენ, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს შეერთებოდნენ და გაეპროტესტებინათ გეიაღლუმი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ეს ასე აღარ მოხდა. რა ინფორმაცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით, რას აპირებენ კავკასიელი სულიერი ლიდერები? არის ინფორმაცია, რომ ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა მუსლიმანი ლიდერები გააბრაზა ჩვენს ხელისუფლებაზე. რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით?**

**„ჩვენ ველოდებით ამ საკითხზე უწმინდესის განცხადებას, ეს კანონი, რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, მაგრამ არც ისეთი კატასტროფაა, რომ ხვალ და ზეგ ან გავაუქმოთ, ან შევცვალოთ. ვფიქრობ, აუცილებელია პირდაპირ და კონკრეტულად ითქვას სათქმელი ამ საკითხზე“**

– რაც შეეხება მუსლიმანი კავკასიელების გულისწყრომას, ამ საკითხზე ბევრი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი. სამწუხაროდ, ჩვენთვის წინასწარ არავის უთქვამს, რომ ასეთი ფორმით უნდა მიეღოთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, რათა

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „კახი კალაძე ხმას როგორ იღებს? — სააკაშვილის მანქანაში იჯდა სათადარიგო საბურავივით“



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ „ნაციონალებთან“ გარიგებაში და ქვეყნისთვის საზიანო კამპანიაში დაადანაშაულეს.

„გაოგნებული ვარ, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და ვიცე-პრემიერ კახი კალაძის მიერ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობისა“ და „სამოქალაქო სექტორის“ წინააღმდეგ დაწყებული ბინძური კამპანიით. მოვუწოდებ პრემიერსა და ვიცე-პრემიერს, დროზე მოეგონ გონს და ხელები შორს არასამთავრობო სექტორისგან.

სამოქალაქო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილია, რომ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეგიდით ხორციელდება კამპანია „ეს შენ გეხება“, რომელიც ითხოვს საქართველოში ტოტალური მოსმენების დამთავრებას და საქართველოს პარლამენტში განსახილველად შესული კანონპროექტის მოსმენების თაობაზე უმოკლეს ვადაში მიღებას, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს საქართველოს მოქალაქეების ტოტალურ მოსმენებს. ეს არის საქართველოს გადარჩენისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისთვის აუცილებელი კამპანია, რომლისთვისაც მთელმა საქართველომ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, „საერთაშორისო გამჭვირვალობასა“ და ლაშა ტუღუშს უნდა ვუთხრათ მადლობა.

ბიძინა ივანიშვილი და მთელი კოალიცია „ქართული ოცნება“ საქართველოს მოქალაქეებს შეგვპირდა, რომ დამთავრდებოდა ქვეყანაში გამეფებული უკანონო მოსმენები, მაგრამ ხელისუფლების სათავეში კოალიცია „ქართული ოცნება“ იმყოფება 1,5 წელი, ხოლო იმ არასამთავრობოებს, რომლებიც ითხოვენ უკანონო მოსმენების დამთავრებას ქვეყანაში, აცხადებენ მოღალატეებად. ირაკლი ღარიბაშვილისა და კახი კალაძის ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, როდესაც კოალიცია „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ გვპირდებოდა ტოტალური მოსმენების დასრულებას, ეს იყო ქვეყნის ღალატი და ნაციონალების აგენტურის ქსელი. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქვეყანაში მოსმენების დრო დასრულდა, ვეკითხები მას – თვითონ თუ სჯერა აღნიშნული განცხადების? რამდენიმე კვირის წინ, გავასაჯაროვე მტკიცებულება, როგორ უკანონოდ გამოაქვეყნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის კერძო საუბარი ხელისუფლებამ, როგორ ჩადო ჩემი საუბარი სისხლის სამართლის საქმეში. პროკურატურის აღნიშნული მოქმედება ეწინააღმდეგებოდა ყველა საერთაშორისო სტანდარტს, რომელიმე დემოკრატიულ ქვეყანაში რომ დაფიქსირებულიყო ადვოკატთა კორპუსის ხელმძღვანელის მოსმენა, გადადგებოდა მთელი სახელისუფლებო ელიტა, მაგრამ მაშინ ირაკლი ღარიბაშვილმა და კახი კალაძემ დუმილი ამჯობინეს, რითაც მწვანე შუქი აუნთეს სამართალდამცავებს ნებისმიერი უკანონო მოქმედებების ჩასადენად, რაც ქვეყნის არადემოკრატიულ განვითარებაზე მიუთითებს. ნაკლებად წარმოსადგენია, სადაც უსმენენ და აქვეყნებენ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის კერძო საუბრებს, ჩვეულებრივი მოქალაქეები რა დღეში იქნებიან.

სამარცხვინოა საია-ს თავმჯდომარის კახა კოჟორიძის, ეკატერინე გიგაურის, გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორის ლაშა ტუღუშის „ნაციონალებთან“ გარიგებაში დადანაშაულება. საქართველოს მოსახლეობას არ დაგვმართნია ამნეზია და გვახსოვს ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ იგი აფინანსებდა მიხეილ სააკაშვილს, ხოლო კახი კალაძე საერთოდ როგორ იღებს ხმას, როდესაც მიხეილ სააკაშვილის მანქანაში იჯდა, თითქმის სათადარიგო საბურავივით, როდესაც სტუმრობდა საქართველოს. მთელმა საქართველომ ნახა, ბათუმში კახი კალაძე ტოტო კუტუნიოს კონცერტზე როგორ მოვიდა მიხეილ სააკაშვილთან ერთად, კახა კოჟორიძე, ლაშა ტუღუში და ეკატერინე გიგაური არ მჯდარან მაშინ მიხეილ სააკაშვილის მანქანაში. როდესაც საპარლამენტო არჩევნებზე კახა კოჟორიძე რისკის ფასად ხაშურში აკვირდებოდა არჩევნების მიმდინარეობას, მაშინ იგი იყო გმირი, მაგრამ, როდესაც იბრძვის ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმებისთვის, მაშინ თურმე გამხდარა ნაციონალების აგენტი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა სჯობს, იფიქროთ ქვეყნის ჭაობიდან ამოყვანაზე, სადაც დიდი ხანია ვიმყოფებით. პატივცემულო ბატონებო, ქვეყნისთვის რომ ვერ მიგიხედავთ და გამოგონილ კუდიანებზე ნადირობა დაიწყეთ, ეს მოასწავებს დიდ კრიზისზე ხელისუფლებაში. შეგახსენებთ, რომ სააკაშვილმა კუდიანებზე ნადირობა დაიწყო მესამე წელს თქვენ რაღაც მალე მოგივიდათ. ბატონო პრემიერო და ვიცე-პრემიერო, რაც მალე მოეგებით გონს, თქვენთვის არის კარგი. მე ვვარაუდობ, ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, დაქირავებულ ხალხს გააკეთებინებთ ჩემს წინააღმდეგ განცხადებებს, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლების დროს სამოქალაქო საზოგადოება გამოიწვრთნა, ამიტომ ასეთი იაფფასიანი ბრალდებებითა და ტყუილებით ვერავის მოატყუებთ“, – ნათქვამია ზაზა ხატიაშვილის განცხადებაში. (პირველი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

„ჩვენი მიზანია არა ვინმეს დამარცხება, არამედ საქართველოს გამარჯვება“.

ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი

*მეცხრე გვერდიდან*

ამისთვის ნიადაგი მოგვემზადებინა. ძალიან მალე მუსლიმან ლიდერებთან გვექნება ინტერ-



ნეტკონფერენცია, ვთხოვთ, რომ ყველა კონფესიის სასულიერო ლიდერი შეიკრიბოს და გვინდა ავუხსნათ ვითარება. საქმე ისაა, რომ ჩვენ დაგვაყენეს არჩევანის წინაშე, ან ანტიდისკრიმინაციული კანონი და დასავლეთი, ან არადა, დასავლეთთან კონფრონტაცია. ჩვენი მიზეზით დასავლეთთან კონფრონტაციაში არ უნდა შევიდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი გულისწყრომა გამოიწვია საქართველოში ამ კანონის მიღებამ, დასავლეთს არ მივეცით საშუალება ისეთივე ულტიმატუმი წაეყენებინა ჩვენთვის, როგორც თავის დროზე წაუყენა უკრაინას, როცა უკრაინის პრეზიდენტს პირდაპირ მოსთხოვეს, ან გამოუშვებ იულია ტიმოშენკოს, ან არადა, ევროკავშირში არ მიგიღებთო. ჩვენ ველოდებით ამ საკითხზე უწმინდესის განცხადებას. ეს კანონი, რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, მაგრამ არც ისეთი კატასტროფაა, რომ ხვალ და ზეგ ან გავაუქმოთ, ან შევცვალოთ. ვფიქრობ, აუცილებელია პირდაპირ და კონკრეტულად ითქვას სათქმელი ამ საკითხზე. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელი უნდა გამოვიდეს და თქვას სათქმელი, რომ ჩვენ სხვა არჩევანი არ გვქონდა. კავკასიელებს უნდა აუხსნან, რატომ გადადგეს ეს ნაბიჯი, რამაც კავკასიელების გულისწყრომა გამოიწვია. მათ უნდა აუხსნან, – ჩვენ რომ ეს კანონი არ მიგვეღო, დასავლეთი დაგვადანაშაულებდა და იტყოდა, რომ საქართველოს ხედვა შორს არის დასავლეთის ხედვისგან. ყოფილმა „კაგებეშნიკებმა“, ნაძირალებმა ეს სიტუაცია რომ ვითარების ასარევად არ გამოიყენონ, ყველაფერი უნდა ითქვას ხმამაღლა. ჩვენ კავკასიელ ლიდერებთან გვქონდა საუბარი და მათ გვითხრეს, რომ ვიცით, რაც მოხდა, თუ ამ კანონს არ მიიღებდით, დაგაბრალებდნენ პრორუსულობას, ხომ მიიღეთ ეს კანონი, ახლა შიგნიდან აგიფეთქებენ სიტუაციასო.

**— იმაზე არ მიპასუხეთ, გეიაღლუმზე კავკასიელების ჩამოსვლაზე რა იცით?**

– რაც შეეხება მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსულ გეიკავკასიელებს, პირობას გაძლევთ, თუკი ამ გეიაღლუმებს შეუერთდებიან, საკუთარ ქვეყნებში ველარ დაბრუნდებიან. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის წმინდა წყლის პროვოკაცია, საქართველოში ჩამოვლენ სხვადასხვა ევროპული ქვეყნებიდან მოგროვებული კავკასიელი გეები, რომლებიც თავის ქვეყნებში არ ცხოვრობენ, ესენი იქნებიან ადამიანები, რომლებიც პირდაპირ მიბმულები არიან სპეცსამსახურებს. მოგეხსენებათ, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების კომპრომატებით გადაბირება ძალიან იოლია. ასე რომ, საერთო კავკასიური გეიაღლუმის ორგანიზატორების მიღმა რა ძალები დგანან, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურები მუშაობენ, ეს არის გასარკვევი. ძალიან მეპარება ეჭვი, რომ აზერბაიჯანმა და თურქეთის მხარემ ეს პროექტი დააფინანსოს. საკითხი უნდა დავსვათ ასე – ვის აწყობს საქართველოში სიტუაციის არევა. ფაქტია, რომ 17 მაისი იქნება დიდი დაპირისპირება, ცემა-ტყეპა. შეიძლება სისხლიც დაიღვაროს, რასაც მოჰყვება სერიოზული მედიაბრძოლა. დიდ პატივს ვცემ დასავლეთში მოღვაწე პოლიტიკოსებს, მაგრამ ხანდახან ისეთ განცხადებებს აკეთებენ და ისეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, ზოგჯერ ეჭვი მეპარება, რომ ზოგიერთი მათგანი პირდაპირაა მიერთებული რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესებზე. დროა, ჩვენმა სპეცსამსახურებმა კონკრეტულად იმუშაონ დასავლეთში მოღვაწე იმ პოლიტიკოსების ვინაობის დადგენაზე, რომლებიც ევროპიდან თუ აზიიდან, ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო მითითებებს იძლევიან.



**„მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის წმინდა წყლის პროვოკაცია, საქართველოში ჩამოვლენ სხვადასხვა ევროპული ქვეყნებიდან მოგროვებული კავკასიელი გეები, რომლებიც თავის ქვეყნებში არ ცხოვრობენ, ესენი იქნებიან ადამიანები, რომლებიც პირდაპირ მიბმულები არიან სპეცსამსახურებს“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

**რეაქციისგან: ძალიან ასწყენია, ტრაგიკულიც კი, რომ ისეთი ტრადიციული მამაკაცური ღირსებების მქონე რეგიონის — კავკასიის ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარისთვის არ იყოს კატასტროფა ერის ნების საწინააღმდეგოდ ხელისუფლებისგან მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მერაბიშვილის წერილმა მისი ახალციხელი მხარდამჭერები აატირა



„ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის თავმჯდომარემ, გიგი უგულავამ მესხეთის თეატრში შეკრებილ პარტიის მხარდამჭერებს ვანო მერაბიშვილის ციხიდან გამოგზავნილი წერილი წაუკითხა.

„ვანოს კალიგრაფია კარგი არ ჰქონდა, არც მჭევრმეტყველი იყო, მაგრამ საქმიანი კაცი იყო“, – განაცხადა უგულავამ მერაბიშვილის წერილის წაკითხვამდე.

წერილის შინაარსმა არა მხოლოდ დარბაზში მჯდომი მერაბიშვილის დედა ჟენია მერაბიშვილი, არამედ პარტიის მხარდამჭერებიც აატირა.

„ჩემო მეგობრებო, მიხარია, რომ ყველანი ერთად და მხნედ ხართ. მიხარია, რომ ყველაფრის მიუხედავად, განწყობილი ხართ ბრძოლისთვის. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, არის საფრთხე, რომ ახალციხემ დაკარგოს ისტორიული ფუნქცია, ანუ დაკარგოს ქალაქის ფუნქცია. ბოლო 20 წლის განმავლობაში ქალაქი დეგრადაციის მიმართულებით მიდიოდა. სამწუხაროდ, მე მხოლოდ ბოლო წლებში მოვიცალე ახალციხისთვის, რასაც ძალიან ვნანობ.

ბოლო წლებში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, ახალციხეში შემოვიდა ბუნებრივი აირი, გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, აღდგა რაბათის კომპლექსი. დაიწყო ახალი კორპუსების მშენებლობა, მაგრამ, სამწუხაროდ, გეგმების ბოლომდე მიყვანა ვერ მოვასწარი.

დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, თქვენთან ერთად, დაწყებულს ბოლომდე მივიყვან და ჩვენ ქალაქსა და რეგიონს მოწინავედ ვაქცევ. განვავითარებთ ინფრასტრუქტურას, შევქმნით სამუშაო ადგილებს და ჩვენი ხალხის შემოსავლებს მნიშვნელოვნად გავზრდით, ახალციხის ქალაქის ფუნქციის გაუმჯობესებით.

რაც შემეხება მე, თავს ნორმალურად ვგრძნობ. ბავშვობაში რომელი წიგნებიც არ იყო ახალციხის ბიბლიოთეკაში, იმ წიგნებს დღეს ვკითხულობ. ისე, კაცმა რომ თქვას, ახალციხელი და თანაც უდელი, თბილისში რომ ჩავა და ქართველებს „ჭკუას დაარიგებს“, დასაჭერი ნამდვილად არის. გისურვებთ წარმატებას და მიხარია, რომ თქვენ ხართ უამრავი“. (ნიუპოსტი)

## „ზუგდიდი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბარომეტრია მთელი საქართველოსთვის“



როგორც ამერიკის ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა ზუგდიდში სტუმრობისას იმედი გამოთქვა, რომ, ამჟამინდელი არჩევნებიც საკმაოდ მშვიდ ატმოსფეროში ჩაივლის და ყველა პოლიტიკური მოთამაშისთვის თანაბარი ველი იქნება შექმნილი.

„მოხარული ვარ, რომ კვლავ მომეცა შესაძლებლობა, ვესტუმრო ზუგდიდს და ვისიამოვნო მისი მასპინძლობით. ეს ქალაქი არის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბარომეტრი მთელი საქართველოსთვის. სხვა დიპლომატიური თანამეგობრობის წარმომადგენლებთან ერთად ვაკვირდებით მიმდინარე პროცესს და იმ არჩევნებს, რომელიც საქართველოში გაიმართება ივნისში. ეს მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება საქართველოსთვის. ოქტომბერში ვიმყოფებოდი აქ და ვაკვირდებოდით საარჩევნო სიტუაციას, რომელიც მშვიდ ატმოსფეროში მიმდინარეობდა და იმედი გვაქვს, ამჟამინდელი არჩევნებიც საკმაოდ მშვიდ ატმოსფეროში ჩაივლის“, – აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა. (ინტერპრესნიუსი)

## საფრანგეთში საქართველოს საელჩო კულტურული ინსტიტუტების ფორუმის წევრი გახდა




საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, FICEP არის ასოციაცია, რომლის წევრებიც არიან პარიზში წარმოდგენილი ქვეყნების ეთნიკური ჯგუფები, რეგიონების კულტურული ინსტიტუტები და ცენტრები, ასევე საელჩოები და სხვადასხვა პარტნიორები თუ კერძო ფონდები.

ფორუმის მიზანია, გააერთიანოს და დააკავშიროს ერთმანეთთან პარიზში წარმოდგენილი სხვადასხვა ქვეყნების კულტურული ცენტრები და ხელი შეუწყოს თანამშრომლობასა და საერთო ინტერესების მქონე პროექტების განხორციელებას.

FICEP-ი ეხმარება მრავალმხრივი კულტურული დიალოგის წახალისებას, წევრები, მისი მხარდაჭერით ახერხებენ სხვადასხვა დიდი და მრავალმხრივი საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე წარდგენას. ფორუმი წელიწადში ოთხ დიდ ღონისძიებას აწყობს – ორს გაზაფხულზე და ორს შემოდგომაზე. (რეპორტიორი)

## ომბუდსმენი მთავარ პროკურორს გამოძიების დროულად დაწყებას სთხოვს



საქართველოს სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა მთავარ პროკურორს მსჯავრდადებულის მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, ერთ-ერთი მსჯავრდადებულის განმარტებით, 2014 წლის 27 აპრილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №17 დაწესებულებიდან №6 დაწესებულებაში გადაყვანის მიზნით, იგი დილის 6:00 საათზე გაიყვანეს საკნიდან და საბადრაგო მანქანაში ჩაჯდომამდე ჩხრეკის მიზნით გაშიშვლება მოსთხოვეს, რასაც ის დაემორჩილა. აღნიშნულის შემდეგ ის დაათვალიერეს და ტანისამოსი დეტალურად გაჩხრიკეს.

პატიმრის თქმით, ჩხრეკის დამთავრების შემდეგ მას მისცეს მხოლოდ ქვედა საცვლის ჩაცმის უფლება, რის გამოც, ბადრაგირების პროცესში მას მხოლოდ ქვედა საცვალი და წინდები ეცვა. მსჯავრდადებულის გადმოცემით, ბადრაგს მის მიმართ ცინიკური დამოკიდებულება ჰქონდა. მსჯავრდადებული აღნიშნავს, რომ ჩაცმის შესაძლებლობა მხოლოდ №6 დაწესებულების სამორიგეოში მიეცა.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის მიხედვით, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა გულისხმობს პირის დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის საჩივრის შეტყობინების მიღებისთანავე, გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ, რათა პასუხისმგებელი პირები წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე. გამოძიება უნდა ჩატარდეს დროულად, ეფექტიანად და მიუკერძოებლად“, – აღნიშნულია სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ნიუპოსტი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

**„ამჯერად თქვენი იმედი არ გაცრუვდება, მოქალაქეობრივი ღირსება არ შეილახება. ჩვენ თქვენს გვერდით ვიქნებით ბოლომდე. და დღეს, აქ, საზეიმოდ, მე გპირდებით, რომ ბოლომდე ვიბრძოლებ თქვენთან ერთად, რათა ყველამ ერთად ავიხდინოთ ჩვენი ოცნება!“**

**ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი**

41

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

## საქართველოს პრეზიდენტმა თურქ კოლეგას უმასპინძლა



პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, გიორგი მარგველაშვილმა და აბდულა გიულიმ თბილისის ქუჩებში ფეხით გაისეირნეს, რუსთაველის გამზირიდან ლესელიძის ქუჩის გავლით ევროპის მოედანზე გადაინაცვლეს. თურქეთის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ქართველ კოლეგას, რომ პირადად გაუწია გიდობა.

აბდულა გიულის ვიზიტის არაოფიციალური ნაწილი დასრულდა. „თბილისის სამიტი 2014“-ის მუშაობაში საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებთან ერთად თანმხლები დელეგაციების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. სამიტის მსვლელობისას განიხილავენ ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სფეროებში მიმდინარე თუ დაგეგმილ პროექტებს. ლიდერები თანამშრომლობის შედეგებზე იმსჯელებენ და სამომავლო გეგმებსაც დასახავენ.

7 მაისს დაიწყება თურქეთის პრეზიდენტის სახელმწიფო ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც გაიმართება ორმხრივი შეხვედრა. თურქეთის პრეზიდენტი გვირგვინით შეამკობს დაღუპულ გმირთა მემორიალს. აბდულა გიული თბილისიდან 7 მაისს გაემგზავრება. (ინტერპრესნიუსი)

## საჭიროა თუ არა უშიშროების საბჭოს, როგორც კონსტიტუციური ორგანოს არსებობა?



იურისტი გია გეწაძე, უშიშროების საბჭოს ინსტიტუტის გაუქმების წინადადებით გამოდის. მისი მოსაზრება, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფის დისკუსიის საგანი უკვე გახდა.

„მიმაჩნია, რომ არსებული მმართველობის მოდელში, რომელიც ახლოს არის საპარლამენტო მოდელთან, უშიშროების საბჭო, როგორც კონსტიტუციური ორგანო, საჭირო არ არის. კონსტიტუციიდან მუხლი, რომელიც უშიშროების საბჭოს ეხება, ამოღებული უნდა იყოს. ამასთანავე, უშიშროების საბჭოს მოწვევა, როგორც სხდომის მოწვევა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა პრეზიდენტთან მინისტრები შეიკრიბებიან, ისედაც შეიძლება და შესაძლოა, ამას უშიშროების საბჭოს სხდომა დაერქვას. დღეს პრეზიდენტს აქვს ადმინისტრაცია, ასევე ჰყავს უშიშროების საბჭო და ხდება აპარატების დუბლირება. პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს ერთი ადმინისტრაცია და თუ ეყოლება ადმინისტრაციის ხელმძღვანელად უშიშროების საკითხებში გამოცდილი პირი, მაშინ ის იქნება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი – თანაშემწე უშიშროების საკითხებში“, – განაცხადა გია გეწაძემ, რომელმაც აღნიშნული მოსაზრება 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადების პერიოდშიც დააფიქსირა, თუმცა მაშინ მისი წინადადება არ გაიზიარეს. (ინტერპრესნიუსი)

## სლავიანსკში ჩეჩენი „ბოევიკები“ გამოჩნდნენ



უკრაინული მედიის ინფორმაციით, უკრაინის სამთავრობო ძალებსა და სეპარატისტებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად, ოთხი ადამიანი დაიღუპა და 30-მდე დაიჭრა. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, უკრაინელ სამხედროებს სლავიანსკში წინააღმდეგობას 800-მდე სეპარატისტი უწევდა. უწყების ცნობით, სეპარატისტები თავს დაესხნენ ადგილობრივ მოსახლეობასაც.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის, არსენ ავაკოვის განცხადებით, სეპარატისტებმა სლავიანსკში ნაღმტყორცნები გამოიყენეს. „ბოევიკების“ განკარგულებაში ჯავშანტრანსპორტიორები და საბრძოლო მანქანებია, მათ რიგებში ჩეჩენი „ბოევიკებიც“ გამოჩნდნენ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტერორისტებმა ცეცხლი გაუხსნეს ავტობუსს, რომელშიც დაჭრილი უკრაინელი სამხედროები იმყოფებოდნენ, შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა.

დონეცკის ოლქის ქალაქ სლავიანსკში საბრძოლო მოქმედებები განახლდა. უკრაინელმა სამხედროებმა ადგილობრივი ტელეანძა დაიკავეს, რის შედეგადაც ქალაქში უკრაინული ტელეარხების მაუწყებლობა აღდგა. (ინტერპრესნიუსი)

## რატომ იხოცებიან გლდანის ტბაში თევზები?

გარემოს დამცველმა ორგანიზაციებმა გლდანის ტბის ტერიტორიაზე გამორიყული დიდი რაოდენობით მკვდარი თევზი დააფიქსირეს. ადგილზე, ეკოლოგიური მდგომარეობის შესასწავლად სპეციალური კვლევების ჩატარება უკვე დაიწყო.

„ცხოველთა დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარის ვახტანგ მამალაძის თქმით, თევზი „კარჩხანა“ ყველაზე ამტანი თევზია და ინფექციების მიმართ ნაკლებად მგრძნობიარეა.

ორგანიზაციის თავმჯდომარემ უკვე მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს ტბის ბიოგეო ცენოზის შესწავლის მოთხოვნით. (ნიუპოსტი)

ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები...



# რისთვის ჩამოვიდნენ სინამდვილეში თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები?

**აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის სამმხრივი სამიტი 6 მაისს გაიხსნება. თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პოტენციალის გამოყენებაზე ისაუბრებენ სატრანსპორტო და ენერგეტიკის სფეროში. რა შედეგის მომტანი იქნება „თბილისის სამიტი 2014“ საქართველოსთვის“?**

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია:**

– ბუნებრივია, რომ სამი ქვეყნის უმაღლეს პირებს შორის საუბარი არ იქნება მხოლოდ ეკონომიკურ პროექტებზე, მით უფრო იმის ფონზე, რაც უკრაინაში ხდება. უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე ყველა აცნობიერებს, რომ შესაძლოა, შემდგომი დარტყმის ობიექტები იყოს საქართველო და აზერბაიჯანი, ამიტომ, ბუნებრივია, რომ საუბარი იქნება უსაფრთხოების საკითხებზე. გარდა ამისა, საქართველოში განხორციელებული ფარული ოკუპაციის გამო როგორც არის ცნობილი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაახლოებით 3 კმ სარკინიგზო მაგისტრალი მოხვდა საოკუპაციო ხაზის იურისდიქციის ქვეშ. ამიტომ, ბუნებრივია, საუბარი იქნება ამ პრობლემის მოგვარების გზებზე. ეს ფაქტი შეშფოთებას იწვევს, ვინაიდან არსებობს ამ ძალიან მნიშვნელოვანი გეოეკონომიკური პროექტის ჩავარდნის საფრთხე. როგორც ჩანს, ეს საკითხი აღელვებს თურქეთსაც და აზერბაიჯანსაც, მათთვის ეს შეშფოთების საგანი ნამდვილად არის. ამას გარდა, ცნობილია, რომ აზერბაიჯანში ჩასული იყო რეჯიბ ტაიპ ერდოღანი და ორი ქვეყნის უმაღლესმა პირებმა გააფორმეს სამხედრო აქტი. ფაქტობრივად, სამხედრო ალიანსი გაფორმდა ბაქოსა და თურქეთს შორის, რაც გულისხმობს იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აზერბაიჯანზე თავდასხმა, თურქეთი ამ შემთხვევაში იღებს ერთგვარ მეურვის ფუნქციას. ბუნებრივია, ამ კონტექსტშიც ჩნდება საქართველოს ფაქტორიც, მით უფრო, რომ სამხედრო ინტერვენციის საფრთხე ჩვენი ქვეყნის მიმართ დიდია, ამიტომ, ბუნებრივია, საუბარი იქნება ამ საკითხზეც, რომ მოხდეს სამ ქვეყანას შორის თანამშრომლობა და რაიმე სამხედრო ინტერვენციის დროს დაეხმარონ მეზობელი სახელმწიფოები ერთმანეთს.

კიდევ არის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. გახსოვთ, ალბათ, 2010 წელს საუბარი იყო კავკასიის შტატის შექმნაზე, უბრალოდ, მერე მიხეილ სააკაშვილმა ეს თემა გამოიყენა საპიაროდ და არასწორად იყო ინფორმირებული ქართველი საზოგადოება თურქეთისა და აზერბაიჯანის ამ ინიციატივასთან დაკავშირებით. სააკაშვილმა, ბუნებრივია, დამახინჯებული ფორმით გამოთქვა ეს იდეა, თუმცა იყო საუბარი იმაზე, რომ შექმნილიყო კავკასიის გაერთიანებული შტატები. თითქმის ისეთივე მოდელი, როგორც არსებობს ახლა ამერიკა-კანადასა და მექსიკას შორის. ანუ ამ შემთხვევაში საუბარი იყო თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაზე, ანალოგიური ვარიანტი იქნებოდა წმინდა გეოეკონომიკური მოსაზრებით. ვინაიდან სამი სახელმწიფოს ლიდერი ერთად იქნება და ისაუბრებს, ბუნებრივია, ამ საკითხზეც იქნება საუბარი.

**— სამი ქვეყნის ლიდერის შეხვედრიდან რა მესიჯებს მიიღებს რუსეთი, რომელიც ჯერ მშვიდად უყურებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის წინა პერიოდს?**

– ბუნებრივია, რისკი არსებობს, რომ რუსეთმა, ე.წ. ტიტუშკები ან სეპარატისტული ჯგუფები გაააქტიურონ იმ რეგიონებში, სადაც ამის საფრთხე არსებობს. აქ იგულისხმება, თუნდაც ჯავახეთი. რუსეთმა უკვე გადალახა წითელი ზღვარი, შესაბამისად, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ აქ უკვე საუბარია ქვეყნის გადარჩენაზე, იმიტომ, რომ დღეს უკრაინაა რიგში, ხვალ საქართველო, ზეგ აზერბაიჯანი და ასე ეტაპობრივად მოხდება დაპყრობა სახელმწიფოებისა. დღეს აზერბაიჯანი ნათლად გრძნობს, რომ ზეწოლა გრძელდება ოფიციალური მოსკოვისგან, მით უმეტეს შაჰდენიზის პროექტის „დათრევასთან“ დაკავშირებით. აზერბაიჯანმა ძალიან კარგად იცის, რომ ეს გეგმა მუშავდება რუსეთის სპეცსამსახურებში, შესაბამისად, თურქეთი გამოდის და ხდება რეგიონალური გავლენის ცენტრი. ამავდროულად, თურქეთი დასავლეთსაც ემიჯნება გარკვეულწილად და ცდილობს, ითამაშოს დამოუკიდებელი როლი. ის დამოუკიდებლად ახორციელებს აღმოსავლურ გეოპოლიტიკურ ვექტორს. მით უფრო,

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რატომ სთხოვენ პრემიერს შს მინისტრის გადაყენებას?

„დემოკრატიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავს.

„ბატონო პრემიერო, მოგმართავთ თხოვნით, გაიზიაროთ ჩვენი მოსახლეობის შეშფოთება. ჩვენი მოქალაქეები მშვიდად ველარ გადაადგილდებიან, მათთვის არ არსებობს არანაირი უსაფრთხო გარემო და მშვიდი ცხოვრების გარანტიები. პოლიცია ველარ ახერხებს მათ დაცვას და ჩვენს მოქალაქეებს ადგებათ ზიანი. დანაშაულმა საგრძნობლად იმატა და ქუჩაში ნიღბიანი ბანდფორმირებები ადამიანებს სასტიკად უსწორდებიან, ეს არაა ის სტანდარტი, რომელსაც ჩვენი ხალხი იცნობს. გარდა ბანკებისა და ავტოგასამართი სადგურების დაყაჩაღებისა, საგრძნობლად მომრავლდა გაუპატიურების, ქურდობის, ძალადობისა და შურისძიების მიზნით ადამიანის მკვლელობის, მკვლელობის მცდელობისა და დაჭრის ფაქტები. დედაქალაქის ქუჩებში ადამიანებს ელექტროშოკით შეიარაღებული ჯგუფები თავს ესხმიან. ჩვენი მოქალაქეები დაუცველები გახდნენ და შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკისრებულ პასუხისმგებლობას თავს ვერ ართმევს, ბატონი ალექსანდრე ჭიკაიძე მათ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს.

მოგმართავთ თხოვნით, გაიზიაროთ ჩვენი ხალხის გულისწუხილი და მოახდინოთ ამაზე მკვეთრი რეაგირება. საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, გთხოვთ, დააყენოთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბატონი ალექსანდრე ჭიკაიძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი, ვინაიდან მისი უუნარობა თუ პირადი ინტერესები პირდაპირ აზარალებს მოსახლეობის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გათვალისწინებული ჩვენი საზოგადოების თხოვნა და ინტერესები, თქვენ თავად მოგიწევთ ყოველივეზე პასუხისმგებლობის აღება“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

„მასმედიის დიდი ნაწილი ხელისუფლების მორჩილებასა და საზოგადოების დეზინფორმაციაზეა ორიენტირებული. სამოქალაქო საზოგადოებას უკიდურესად შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია".

41

ბიძინა ივანიშვილი 2011 წელი, 11 დეკემბერი

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეთერთმეტე გვერდიდან*

რომ ერდოღანის დღევანდელი საგარეო კურსი, მიმართულია იქით, რომ თურქეთი გადაიქცეს, სულ მცირე, რეგიონულ სუპერსახელმწიფოდ და ბუნებრივია, ეს ყველაფერი შედის აი, ამ სტრატეგიის ფორმატში. იგივე უსაფრთხოების პირობების შექმნა კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებისთვის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მაგალითზე. ყველაფერი ეს, ბუნებრივია, არის გზავნილი რუსეთისთვის, გზავნილი იმისა, რომ სამ სახელმწიფოს შორის კიდევ უფრო ღრმავდება თანამშრომლობა და ამის ფონზე იმატებს თითოეული სახელმწიფოს უსაფრთხოების ხარისხი.

– ორი ქვეყნის ხელმძღვანელი პირების საქართველოში ვიზიტს წინ უძღოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტი ვაშინგტონში და ატლანტიკური საბჭოს ორგანიზებულ კონფერენციაზე ირაკლი ალასანიამ, სამხედრო ალიანსს სთხოვა, თავდაცვითი საშუალებები განათავსოს საქართველოს ტერიტორიაზე. ექსპერტები კი ვარაუდობენ, თუკი ეს მოხდება, ამ შემთხვევაში საუბარი იქნება მეზობელი თურქეთის სამხედრო ტექნიკისა და ჯარის შემოყვანაზე. იქნება თუ არა ეს ერთ-ერთი სასაუბრო თემა ღარიბაშვილისა და ერდოღანის შეხვედრაზე?

– ამას არ წყვეტს თურქეთი და საქართველო დამოუკიდებლად, ამ საკითხის გადაწყვეტა ალიანსის მაღალი სტრუქტურის წარმომადგენლების პრეროგატივაა, მეორეც, აქ საუბარი იყო თავდაცვითი ელემენტების სისტემის განთავსებაზე, ანუ ანტისარაკეტო სისტემებზეა საუბარი. თუმცა ამ ეტაპზე ნაჩქარევია ამ თემებზე საუბარი, მით უფრო გადაწყვეტილება, ვინაიდან საქართველოსა და ნატოს შორის მსგავსი ტიპის ურთიერთობა არ არსებობს. მე ვფიქრობ, რომ ნატო-საქართველოს ურთიერთობის ფორმატში, ამ ეტაპზე უნდა დაისვას კიბერუსაფრთხოების საკითხი, საუბარია იმაზე, რომ ნატომ მოახდინოს საქართველოს სტრატეგიულ ობიექტებზე კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამიტომ ვფიქრობ, ამაზეც იქნება საუბარი თურქეთისა და საქართველოს უმაღლეს პირებს შორის, ვინაიდან რუსეთი, გარდა პირდაპირი აგრესიისა, ახორციელებს კიბერომს საქართველოს მიმართულებით. ნატომ რომ განათავსოს ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემები საქართველოში, ამისთვის საჭიროა, ჩვენ ვიყოთ ნატოს წევრი სახელმწიფო, გარდა ამისა, ეს აღჭურვილობა ნატოს ახლა არ გააჩნია, სწორედ ამჟამად მიმდინარეობს ამ სისტემის შექმნა ალიანსის მხრიდან. ამიტომ, არ მგონია, რომ ამ საკითხზე სასაუბროდ დრო დაკარგონ ორი ქვეყნის ხელმძღვანელმა პირებმა.



„ფაქტობრივად, სამხედრო ალიანსი გაფორმდა ბაქოსა და თურქეთს შორის, რაც გულისხმობს იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აზერბაიჯანზე თავდასხმა, თურქეთი ღებულობს ერთგვარ მეურვის ფუნქციას. ბუნებრივია, ამ კონტექსტშიც ჩნდება საქართველოს ფაქტორიც, მით უფრო, რომ სამხედრო ინტერვენციის საფრთხე ჩვენი ქვეყნის მიმართ დიდია"

**— ჩვენ რა შედეგი ამ შეხვედრიდან? რას მივიღებთ?**

– პირველ ყოვლისა, მთავარი შედეგი იქნება სიგნალი რუსეთისთვის, რომ საქართველოს ურთიერთობები აზერბაიჯანთან და თურქეთთან უფრო ღრმავდება და უფრო აქტიურ ფაზაში გადადის. ნამდვილად არ არის სამიტზე ქვეყნის პირველი პირების ჩამოსვლა შემთხვევითი, ეს ვიზიტები, პირველ რიგში, გამიზნულია იმისთვის, რომ ჩრდილოელმა მეზობელმა დაინახოს ეს. გარდა ამისა, არის მესიჯი რუსეთისთვის, რომ შესაძლოა, შემუშავდეს რეგიონალური პოლიტიკის ახალი მოდელი, პირობითად რომ ვთქვათ, კავკასიის გაერთიანებული შტატებში შეიძლება განვითარდეს ახალი რეგიონული უსაფრთხოების მოდელი, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს მეორე მოდელიც, რომელიც მიძინებულია და აუცილებლად ამოქმედდება, ეს არის სუამის მოდელი, სადაც მონაწილეობენ – უკრაინა, მოლდოვა, საქართველო და აზერბაიჯანი. სუამის მოდელის ფონზე, აი, ამ მოდელის ამუშავება „ანკარა-თბილისი-ბაქო", იქნება სერიოზული ინიციატივა, რომ, თუკი მოხდება რუსული აგრესია, ეს იქნება ერთგვარი შემაკავებელი ფაქტორი.

რაც შეეხება კონკრეტულად სამიტის მნიშვნელობას, მთავარი შედეგი ის იქნება, რომ კიდევ უფრო დაჩქარდება გეოეკონომიკური პროექტების ათვისება, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ამ ქვეყნების თანამშრომლობას. რა მაქვს მხედველობაში. თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანა ასევე უნდა შედიოდეს სომხეთის ინტერესებშიც, იმიტომ, რომ ეს გადის სომხური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონზე. ეს დამატებითი სამუშაო ადგილებია, ასევე ამას შეიძლება მიებას სარკინიგზო ხაზი და ეს იქნება მთლიანი სამხრეთ კავკასიული სატრანზიტო-სარკინიგზო მაგისტრალი. მესამე პროექტი, სარკინიგზო მაგისტრალის დამატება კიდევ უფრო დააჩქარებს სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს. ამ ინტეგრაციისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული სამიტი.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როგორია საზოგადოების განწყობა საქართველოში?

NDI-იმ კვლევის „საზოგადოების განწყობა საქართველოში" შედეგების პრეზენტაცია გამართა. საველე სამუშაოები 26 მარტიდან 18 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,942 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ჩატარდა. კვლევის ცდომილება +/- 2.1%-ია.

კვლევის თანახმად გამოკითხულთა 62% მიიჩნევს, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც გადაწყვეტილების მიმღებ პირად რჩება. მოსაზრებას არ ეთანხმება 10%.

49% მიიჩნევს, რომ ივანიშვილი არ უნდა ერეოდეს, ხოლო 41% მიიჩნევს, რომ უნდა ერეოდეს გადაწყვეტილებების მიღებაში.

კვლევის თანახმად, ბიძინა ივანიშვილის მიერ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის კრიტიკას გამოკითხულთა 40% არ ამართლებს, 35% – ამართლებს, არ იცის – 24%-მა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ყოფილი პრემიერის მარგველაშვილისადმი კრიტიკას ყველაზე მეტად თბილისში ამართლებენ – 41%, ხოლო 38% არ ამართლებს.

კვლევის თანახმად, იმ პირთა რაოდენობა, ვინც თვლის, რომ ქვეყანაში დემოკრატიაა, შემცირდა. 46% მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატიაა, მაშინ როდესაც NDI-ს მიერ 2013 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ კვლევებში 54% მიიჩნევდა, რომ ქვეყანაში დემოკრატია იყო. ამასთანავე, 41% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დემოკრატია არ არის, ხოლო 2013 წლის ნოემბერში 35% მიიჩნევდა, რომ ქვეყანაში დემოკრატია არ იყო.

გამოკითხულთა 46% მიიჩნევს, რომ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყანაში კრიმინალის დონე იგივე დარჩა. 35%-ის აზრით კი – გაიზარდა.

11% მიიჩნევს, რომ კრიმინალი შემცირდა, ხოლო 7%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

გასულის წლის ნოემბრის კვლევასთან შედარებით, 14%-ით მეტია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში კრიმინალის დონემ მოიმატა.

გამოკითხულთა 69% ფიქრობს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მისი ოჯახის მდგომარეობა არ შეცვლილა, 19%-ისთვის მდგომარეობა გაუარესდა, 13%-ისთვის გაუმჯობესდა.

გამოკითხულთა უმრავლესობა – 49% მიიჩნევს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სამუშაო ადგილების რაოდენობა საქართველოში იგივე დარჩა. 43% აცხადებს, რომ სამუშაო ადგილების რაოდენობა შემცირდა, 3% მიიჩნევს, რომ გაიზარდა. გამოკითხულთა 5%-ს კი აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

კვლევის მიხედვით, იმ ადამიანების რიცხვი, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება, წინა კვლევასთან შედარებით შემცირებულია. თუკი წინა კვლევის დროს, 2013 წლის იანვარში, მოსახლეობის 47% მიიჩნევდა, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება, ამჯერად ეს რიცხვი 33%-მდე შემცირდა.

38% მიიჩნევს, რომ მდგომარეობა არ იცვლება, 19% კი თვლის, რომ საქართველო ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება.

NDI-ს კვლევის თანახმად, არჩეულ დეპუტატთან დასაკავშირებლად საუკეთესო ფორმად 53% საჯარო შეხვედრას მიიჩნევს, 15% – დეპუტატის სამუშაო ადგილს, 5% – სახლში სტუმრობას, 2% – ტელეფონით დაკავშირებას, ხოლო 18%-ს საერთოდ არ სურს დეპუტატთან კავშირი.

გამოკითხულთა 62% მიიჩნევს, რომ ყირიმის კრიზისთან დაკავშირებით ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება, ხოლო 15%-ის აზრით – უკრაინას. გამოკითხულთა 66%-ისთვის ყირიმის რუსეთთან მიერთება მიუღებელია, 11%-ისთვის კი მისაღებია, 22%-ს პასუხი არ აქვს.

გამოკითხულთა უმრავლესობა, 63% ამართლებს საქართველოს მთავრობის მიერ რუსეთის ქმედებების დაგმობას, 15% კი არ ამართლებს. ამასთანავე, 46%-ის აზრით, საქართველომ უკრაინის მხარდასაჭერად დამატებითი ქმედებები უნდა განახორციელოს. ამ ქმედებებს შორის, მოქალაქეები (69%) ასახელებენ ჰუმანიტარული დახმარების გაწევას, რუსეთის მიმართ ეკონომიკური სანქციების შემოღებას (14%), კულტურის სფეროში რუსეთთან ურთიერთობების ბოიკოტი (9%) და სხვა (1%).

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 72%-სთვის, საქართველოს მთავრობის მიერ ვლადიმერ პუტინისა და გიორგი მარგველაშვილის შეხვედრის შესაძლებლობის განხილვა მისაღებია, ხოლო მიუღებელია – 12%-ისთვის. გამოკითხულთა 14%-მა არ იცის, მისაღებია თუ არა შეხვედრის შესაძლებლობის განხილვა.

გამოკითხულთა 65% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველო ევროკავშირში უნდა გაწევრიანდეს, ხოლო 16% მიიჩნევს, რომ ევრაზიულ კავშირში უნდა გაწევრიანდეს. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 4% არ ეთანხმება არც ერთ მოსაზრებას, 14%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს, ხოლო 1%-მა პასუხზე უარი განაცხადა. ამასთანავე, გამოკითხულთა 77%-ისთვის მისაღებია საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი, საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი, ხოლო 11%-თვის – მიუღებელი. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს, საქართველო გახდეს ნატოს წევრი, გამოკითხულთა 72%-ისთვის ეს მისაღებია, 15%-სთვის კი – არა.

კვლევის შედეგების თანახმად, სხვა უმცირესობებთან შედარებით, ყველაზე უმნიშვნელო სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვაა. გამოკითხულთა 62% აცხადებს, რომ უმცირესობების უფლებების დაცვა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია, 9% უმცირესობების უფლებების დაცვას უმნიშვნელოდ მიიჩნევს, ხოლო 18%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ნეიტრალური პოზიცია აქვს. გამოკითხულთა 10%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს, 1% კი პასუხზე უარს აცხადებს. როდესაც უმცირესობის ჯგუფებზე ფიქრობენ, მოქალაქეებს პირველ რიგში რელიგიური უმცირესობები (26%) ახსენდებათ. მეორე ადგილზეა ეთნიკური უმცირესობები (25%), შემდეგ სექსუალური უმცირესობები (22%), იძულებით გადაადგილებული პირები (14%), შშმპ – 14%, პატიმრები – 9%. ამასთანავე, გამოკითხულთა 6% უმცირესობად ქალებს მიიჩნევს.

4%-ის აზრით, სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, 20% მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, 25%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, 27% „ლგბტ" პირების უფლებების დაცვას უმნიშვნელოდ მიიჩნევს, 21% კი – სრულიად უმნიშვნელოდ. შედარებით ერთსულოვანი პოზიცია აქვთ და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ გამოკითხულები იძულებით გადაადგილებულ პირთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და პატიმრების უფლებების დაცვას.

გამოკითხულთა უმრავლესობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის 25 მილიონი ლარით დაფინანსებას გამართლებულად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 74% აცხადებს, რომ არ იცოდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25 მილიონი ლარით ფინანსდება, 20%-ისთვის კი ეს ინფორმაცია ცნობილი იყო. აღნიშნულს ამართლებს 55%, არ ამართლებს 21%.

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობამ, 75%-მა ასევე არ იცოდა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 4,5 მილიონი ლარი, რომელიც ოთხ რელიგიურ კონფესიაზე (კათოლიკური ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესია, ისლამური თემი და იუდეური თემი) გადანაწილდება. გამოკითხულთა მხოლოდ 31% ამართლებს ამ გადაწყვეტილებას, 39% – არ ამართლებს, 28%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს, ხოლო 1%-მა პასუხზე უარი განაცხადა. (ინტერპრესნიუსი)



# მეხუთე კოლონა მოდის...

**ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტ ზაალ ანჯაფარიძესთან:**

**— როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და იმ საფრთხეებს, რომელიც ქვეყანას რუსეთის მხრიდან ელოდება?**

– მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საქართველოსთან მიმართებაში ეს საფრთხეები ყოველთვის არსებობდა, რადგან რუსეთი ამ დამოუკიდებლობას ვერ ეგუებოდა. ეს საფრთხეები გაიზარდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ და დღეს ჩვენი დედაქალაქიდან 40 კილომეტრის მოშორებით დგას. გარდა ამისა, არის საფრთხე, რომ ხელახლა განახლდეს რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ დესტრუქციული ქმედებები, რუსეთის შორსმიმავალი სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე.

**— რა არის ეს მისი შორსმიმავალი სტრატეგიული გეგმები?**

– გავლენის სფეროების აღდგენა პოსტსაბჭოურ სივრცეზე. მოგეხსენებათ, „ევრაზიული კავშირისა“ და „საბაჟო კავშირის“ აღდგენის იდეა უკვე დეკლარირებულია. რუსეთი სხვადასხვა მეთოდებით ცდილობს ამ კავშირში პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაერთიანებას. ასევე, რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებში შედის ამიერკავკასიაში მის ერთადერთ მოკავშირესთან სომხეთთან პირდაპირი სახმელეთო გზის გაჭრა. აქედან გამომდინარე, იზრდება იმის ალბათობა, რომ ამის გაკეთებას შეეცადოს საქართველოს გავლით.

რუსეთი გრძნობს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე მას ნელ-ნელა ეცლება ხელიდან. მიმდინარეობს გავლენების სფეროებისთვის ბრძოლა და ეს დღეს დადასტურდა უკრაინის მაგალითით. აქედან გამომდინარე, ის ყველანაირად შეეცდება, ამ პროცესს ხელი შეუშალოს. ვიცით, რა მისი მოქმედების მეთოდები, იზრდება იმის ალბათობა, რომ მან მიმართოს ხისტ მეთოდებს, მათ შორის სამხედრო ძალების გამოყენებით. ჩვენი ქვეყანა კი არის მისი მოქმედების ერთ-ერთი სამიზნე.

ეს არის გარე საფრთხეები, მაგრამ რაც შეეხება შიდა საფრთხეებს, ვფიქრობ, რომ უკვე თვალნათელია ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, მთელი რიგი მოუგვარებელი პრობლემები, არსებული დაძაბულობა ძირითად პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის. ამას ემატება ის ღირებულებითი კონფლიქტი საზოგადოების სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის, რომლის მოწმეებიც ჩვენ ახლახან გავხდით სწორედ ანტიდისკრიმინაციული კანონის განხილვის პროცესში. ამ ღირებულებითმა და მსოფლმხედველობრივმა კონფლიქტმა შეიძლება გარკვეული ჯგუფების ზემოქმედებით სახიფათო სახე მიიღოს და დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

მეორე საფრთხე გახლავთ ის, რომ რუსეთი, რომელიც ახლა ცდილობს, საკუთარი თავი წარმოაჩინოს მსოფლიოში კონსერვატიულ-ტრადიციული ღირებულების ერთადერთ დამცველად, შეეცდება, რომ საქართველოში მოახდინოს ამ ძალების კონსოლიდირება იმ ერთიანი დროშის ქვეშ, რომ მიდის ბრძოლა ტრადიციული და ჩვენი ეროვნული ფასეულობის დაცვისთვის. შესაძლოა, ამის ნიადაგზე შეეცადოს საზოგადოებაში დაპირისპირების მორიგი ტალღის ინიცირებას. არ გამოვრიცხავ, რომ მას ასეთი განზრახვა და გეგმები ჰქონდეს. მით უმეტეს ხედავს, რომ ამისთვის საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგია.

**— ძალიან დიდი ხანია ქვეყანაში ლაპარაკი მიდის მეხუთე კოლონაზე და ამაზე ღიად საუბრობენ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე ექსპერტები. მათ შორის თქვენც. თქვენ აღნიშნეთ, რომ ღია წყაროებით მოვიძიეთ ის ორგანიზაციები, რომლებიც ამა თუ იმ პარამეტრით შეიძლება ამ კატეგორიაში მოხვდნენ. ვინ არიან ეს ადამიანები?**

– მე დავინტერესდი ამ საკითხით და ჩემთვის ხელმისაწვდომ საჯარო სივრცეში მოვიძიე ინფორმაცია იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად ინტენსიურად და რეგულარულად აფიქსირებენ თავიანთ პრორუსულ დღის წესრიგს და აპოლოგიას უწევენ რუსეთთან დაახლოების იდეას, აქვთ მუდმივი კონტაქტები სხვადასხვა რუსულ ორგანიზაციებთან. დადიან მოსკოვში საქართველოს თემატიკაზე გამართულ ღონისძიებაზე, ან მასპინძლობენ რუს ექსპერტებს, აწყობენ სხვადასხვა ტიპის ფორუმებს. ხდება იმ იდეების კულტივაცია, რომ საქართველოს არაფერს არ მოუტანს ევროპული ინტეგრაცია და მან უმჯობესია, იფიქროს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაზე და მასთან დაახლოებაზე. ანუ, ასეთი ტიპის ორგანიზაციები საქართველოში არის სულ 5 თუ 6.

**— შეგიძლიათ დაასახელოთ, რომელია ეს ორგანიზაციები?**

– თავს შევიკავებ მათი დასახელებისგან. ჩვენ ვიცით მათი სახელი და გვარები, ისინი ფიგურირებენ რუსულ გამოცემებში. როდესაც პრეტენზია გვაქვს დემოკრატიულ საზოგადოებაზე, ჩვენ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ვიღაცას ექნება საკუთარი მოსაზრება საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე. მათ ძალიან კარგად იციან, რომ, თუ უნდათ საქართველოში გააგრძელონ ფუნქციონირება, ისინი არც ერთი წუთით და მილიმეტრით არ უნდა გასცდნენ კანონის ჩარჩოებს, ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ სწორედ ისე, რომ ვერავინ ვერ მოედაოს მათ კანონის დარღვევაში. როდესაც სჭირდებათ დემონსტრაციის გამართვა, იღებენ მერიისგან ნებართვას. რაც შეეხება იმას, როგორ შეიძლება შეფასდეს მათი საქმიანობა, აქ უფრო ზნეობრივ კატეგორიაზეა საუბარი. გარდა იმ პირებისა, ვინც თქვენ მოიხსენიეთ, ქართულ-რუსულ ფორუმებში მონაწილეობენ ჩვენი ექსპერტები და მეცნიერები, რომლებსაც ვერანაირად ვერ დავწამებთ პრორუსულ ორიენტაციას. სამეცნიერო კონტაქტები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ეს პირიქით, ხელშემწყობიც არის, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა არ დაიძაბოს. მაგრამ, რაც შეეხება ძირგამომთხრელ საქმიანობას, იგივე რეფერენდუმის შესახებ განცხადებას, მათ შეუძლიათ, რაც უნდათ ის თქვან, მაგრამ სახელმწიფოს გადასაწყვეტია, ჩაატარებს თუ არა რეფერენდუმს. რომც ჩატარდეს რეფერენდუმი, არა მგონია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცეს საქართველოს დაბრუნებას იქ, საიდანაც გამოსვლაში ჩვენ მსხვერპლი გავიღეთ. (ფორ.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნინო სუთიძე: ისინი ერთმანეთს იცნობდნენ, თუმცა მეგობრები არ ყოფილან




ბიზნესმენ დავით კოდუას ცემაში ბრალდებული ნოშრევან ნამორაძის მეუღლე ნინო სუთიძე მზადყოფნას გამოთქვამს, სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას „მყარად შეხვდეს“ და კვლავინდებურად ირწმუნება, რომ მისი ქმარი კოდუას მარტო გაუსწორდა.

მისი თქმით, „დავით და ირაკლი კოდუებს იმდენი მტერი ჰყავთ, იმდენი ადამიანი ჰყავთ გამწარებული, რომ არ არის გამორიცხული, ვილაცას კიდევ დაემატებინა რაღაც და ეს შეიძლება, სულაც შემთხვევითი გამვლელი ყოფილიყო“.

„მე არ მინდა, რომ ნაცემ ადამიანზე ვილაპარაკო, მაგრამ სხვა გზას არ მიტოვებენ. როგორც თვითონ სპეკულირებენ ამ თემით, მეც ძალაუნებურად ჩემს აზრს ვაფიქსირებ“, – აცხადებს ნამორაძის მეუღლე და ირწმუნება, რომ მის მეუღლესა და კოდუას ახლო ურთიერთობა არ ჰქონიათ.

„რამდენიმე წლით ადრე ჰქონდათ ურთიერთობა, თუმცა მე მეგობრობას არ ვეძახი ამას. ამას ნანუკა იძახის, რომ მეგობრები იყვნენ. ყველას გვყავს შეძენილი მეგობრები, მაგრამ ბავშვობის მეგობრები ძალიან განსხვავდება ამისგან. ბავშვობის მეგობრები ნამდვილად არ არიან. ისინი იცნობენ ერთმანეთს რამდენიმე წელია“, – აცხადებს სუთიძე.

დაკავებულის მეუღლემ დაადასტურა დაზარალებულის ოჯახის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნამორაძეს კოდუას წინააღმდეგ საჩივარი აქვს შეტანილი და აღნიშნა, რომ „მათი მიზანი მხოლოდ სიმართლის დადგენაა“.

„ძალიან მარტივია, გვერდითა მხრიდან შეხედო ამ ყველაფერს. ვერც წარმოიდგენთ, ჩვენ რა გამოვიარეთ, როგორი ჯოჯოხეთი და ეს რა პერიოდი იყო საერთოდ. შიშში ვცხოვრობდით და ღამე არ მეძინა და მათ ყველაფერი დაგვაკარგვინეს, რაც გვქონდა, თუმცა ეს არ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი. ამას იმისთვის არ ვაკეთებთ ჩვენ, რომ ქონება დაგვიბრუნოთ, უბრალოდ, მოვითხოვ, რომ სამართალი აღდგეს. და რაც შეეხება ნარკოტიკს, მისი სახელი აღარ ასოცირდებოდეს მასთან“, – აცხადებს სუთიძე. (ფრონტნიუსი)

## ნანუკა ჟორჟოლიანი: რა ხდება, პოლიციის წინააღმდეგ კრიმინალური ავტორიტეტები იბრძვიან?



ბიზნესმენ დავით კოდუას ცემის ფაქტს ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი ეხმაურება. ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტს ის საშიშ საფრთხედ აღიქვამს, თუმცა აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მთავარი მაინც დავით კოდუას ჯანმრთელობის მდგომარეობაა.

„სხვა ყველაფერი მეასეხარისხოვანია ჩვენთვის, მაგრამ ბოლო დღეების განმავლობაში გაკეთდა არაერთი განცხადება სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით და იმასთან, რომ ვერ აგვარებენ ერთი მიმართულებით საკითხს და ამიტომ გადავიდა ქუჩაში. არავინ არ არის სამართლიანობის აღდგენის წინააღმდეგი, სამართლიანობა უნდა აღდგეს, მაგრამ იგივე იუსტიციის მინისტრს მინდა ვუთხრა, რომ კარგად გავმიჯნოთ – რა ხდება, პოლიციის წინააღმდეგ იბრძვიან კრიმინალური ავტორიტეტები, კრიმინალური ვენდეტებით, ქუჩური გარჩევებით და ამას ვეძახით სამართლიანობის აღდგენას?! სამართლიანობის აღდგენა აბსოლუტურად სხვა რაღაცაა ჩემთვის და ძალიან მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაში რა არის მთავარი განცხადება, რომ თქვენ თუ დააკავებთ ადამიანებს, ხვალ თქვენს ოჯახის წევრებს გაუსწორდებიან. „კანონიერი ქურდები“, კრიმინალური ავტორიტეტები ფიქრობენ, რომ პოლიცია მათ უკანონოდ აკავებდათ და ამიტომ, რა ვქნათ ახლა?! იმ პოლიციელებს, რომლებიც დღეს მუშაობენ, ოჯახის წევრები მოუძებნონ და ასე მძიმედ გაუსწორდნენ ქუჩაში?! ჩვენ თუ ამას ვეძახით სამართლიანობას, ძალიან სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენია“. – აცხადებს ჟორჟოლიანი. (ნიუპოსტი)

## „ერეკლე კოდუას ექსტრადიციის საკითხები ელის და პოლიტიკური ლეგენდის შექმნას ცდილობს“



„მესიჯებია, რომ ყველამ ჩვენს თავს მოვუაროთ, ანუ ავიღოთ იარაღი და ერთმანეთს ვებრძოლოთ?“ – გიორგი კოდუას ამ განცხადებას ექსპერტი გია ხუხაშვილი ეხმიანება და აცხადებს, რომ მისი ძმის თემას ის პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებს.

„გამომდინარე იქიდან, რომ დავით კოდუას საკმაოდ სერიოზული ბიზნესი აქვს და საკმაოდ აქტიური ადამიანია, მგონია, რომ რაღაც კონსერვატულ დავასთან გვაქვს საქმე და ეს ინციდენტი არც პოლიტიკას უკავშირდება და არც ერეკლე კოდუას პერსონას. ერეკლე კოდუას ელოდება ექსტრადიციის საკითხები და ცდილობს, შექმნას პოლიტიკური ლეგენდა, რომ ერჩიან მას და მის ოჯახს და ეს თემა უკავშირდება პირადად მას, ეს ლოგიკა გასაგებია, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამას ამბობს თავისი ძმის ამ სამწუხარო ინციდენტთან დაკავშირებით, ანუ ამ თემას ის იყენებს იმისთვის, რომ მსგავსი რაღაცები ილაპარაკოს. კარგი იქნება, თუ ამ ფაქტს მალე გამოიძიებენ“, – განაცხადა გია ხუხაშვილმა. (სამოქალაქო პრესა)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მსახიობი ნანკა ...
2. პატარა ტყე
3. ანდრეი ტარკოვსკის ფილმი
4. შხამიანი გველი
5. ნამუსი
6. დუმბაძე. „... კანონი“
7. ტბა თბილისში
8. პროვინცია ესპანეთში
9. სახელმწიფო აზიაში
10. გვარში დასმული მძიმე
11. მადაგასკარის დედაქალაქი
12. ალაოს შაქარი
13. მსახიობი ... თურმანი
14. მსახიობი მაიკლ ...
15. მსახიობი ჯეიმს ...
16. იტალიელი კომპოზიტორი
17. მსახ. ... ვერტინსკაია
18. რუსული ავტომობილი
19. „ხევის ბერი გოჩა“ პერსონაჟი
20. ქართული სამარკო ღვინო
21. ადამიანი ხარის თავით
22. ვერცხლის ათცენტიანი
23. აკაკი წერეთლის ნაწარმოები
24. შრეკის სატრფო
25. დეკორატიული ყვავილი
26. ქალაქი შიდა ქართლში
27. კვირის დღე
28. საბჭოთა კარიკატურისტები
29. ქალაქი აშშ-ში
30. სახედარი
31. მსახ. ... გიორგობიანი
32. ცხიმოვანი სიმსივნე
33. მდინარე ჩინეთში
34. მხ/ფ „კერკეტი ...“
35. თბილისის ძველი უბანი
36. რომის პაპის გვირგვინი
37. სიმდიდრე: ...-დიდება
38. ზამბახი
39. ოტელოს ეროვნება
40. სოფელი ქარელის რაიონში
41. გოგოლის მოთხრობა
42. მეზღაპრე ჰანს-ქრისტიან ...
43. მსახიობი ... მარტინი
44. აფრა
45. „... კარენინა“
46. გემის ტუალეტი
47. მსახიობი ... ელიავა
48. ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან
49. ცხენირემი
50. მსახიობი ... ისტვუდი
51. ლომების ოჯახი
52. შვეულმფრენი
53. მომღერალი ... პავლიაშვილი
54. ქალაქი რუსეთში
55. კონად შეკრული თავთავები
56. ზოდიაქოს ნიშანი
57. ცვილის ძელაკი პატრუქით
58. ქალაქი საფრანგეთში
59. მომღერალი ჯასტინ ...
60. მომღერალი ... ბურჭულაძე
61. ჩვილის საწოლი
62. ქვის სამარხი
63. თეთრი რეპერი
64. დაღესტნური სოფელი
65. ბუნებასთან ფერით შეხამება
66. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
67. ფრანგი ფერმწერი
68. მიშენება ოთახზე
69. სირაქლემას სახეობა
70. აჯანყება
71. მევიოლინე ... ისაკაძე
72. საერთო ევროპული ვალუტა
73. აფროდიტეს სატრფო
74. ჭრილობაში ჩასადები დოლბანდი
75. მსახიობი ... როკი
76. რბილი სახატავი ფანქარი
77. დანელიას ფილმი
78. ზეთი. იყენებენ ნათლობისას
79. ქალაქი იტალიაში
80. მაღალი სპორტ. მიღწევა
81. ოსური ცეკვა
82. დახურული ეტლი
83. მსახიობი ბენ ...
84. ლამინირებული ფიცარი
85. სატრფიალო პოეზიის მუზა
86. ჩოგბურთის მოედანი
87. რუმინული ფულის ერთეული
88. იაპონიის დედაქალაქი
89. თურქული ქუდი
90. ხორცის კერძი
91. სასროლეთი
92. ტბა უნგრეთში
93. მომღერალი ... რამაზოტი
94. ვაჟა-ფშაველას პოემა
95. პოლიტიკური სლოგანი
96. იტალიური ავტომობილი
97. მომღერალი კრისტინა ...
98. ქალაქი რაჭაში
99. გემების სარემონტო ადგილი
100. ქედი საქართველოში
101. მხ/ფ „განგაში“ პერსონაჟი
102. გემი ორი კორპუსით
103. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
104. იუპიტერის თანამგზავრი
105. ქვეყნის მეთაური
106. ყვავილი
107. ჩანთა დოკუმენტებისათვის
108. პატარა პური
109. კუნძული კარიბის ზღვაში
110. ამერიკელების მეტსახელი
111. მწერალი ... ჭავჭავაძე
112. სახალხო პროექტ „ნიჭიერის“ ერთ-ერთი წამყვანი
113. უანგარო შრომა
114. ქალაქი იაპონიაში
115. შენობა საწნახ-ლით
116. მეკარე ... იაშინი
117. მსახიობი ჯენიფერ ...
118. სათადარიგო ცხენი
119. ცისარტყელას ქალღმერთი
120. ზიგზაგის ფორმის გრაფიკი
121. ნიავი
122. პირის გასაპარსი დანა
123. რაჯას მეუღლის ტიტული
124. მიწის ფართობის ერთეული
125. ჰერბერტ უელსი. „დოქტორ ... კუნძული“
126. ოპერა „ევგენი ...“
127. გიორგი სააკაძის სოფელი
128. მხატვარი სალვადორ ...
129. ვინმეს მფარველობა
130. კარგად მოარული ცხენი
131. ... სულხიშვილი
132. „12 სკამი“ იპოლიტ მატვეევიჩი, იგივე ...
133. ვენესუელის დედაქალაქი
134. ... დაიჭირავს სიკვდილსა
135. ფეხბურთელი ლიონელ ...
136. ძროხის ნაშიერი
137. ცხენბურთი
138. ალკოჰოლური სასმელი
139. პირის ღრუს თაღი
140. თავდაც-ვის იარაღი
141. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
142. ... შვარცენეგერი
143. გამის ნოტი

პასუხები: 1. კალატოზიშვილი; 2. კორომი; 3. „სტალკერი“; 4. ეფა; 5. სინდისი; 6. მარადისობის; 7. ლისი; 8. მალაგა; 9. ბანგლადეში; 10. აპოსტროფი; 11. ანტანანარივუ; 12. მალტოზა; 13. უმა; 14. დუგლასი; 15. დინი; 16. მასკანი; 17. ანასტასია; 18. „ნივა“; 19. ონისე; 20. საფერავი; 21. მინოტავრი; 22. დაიმი; 23. „ბაში-აჩუკი“; 24. ფიონა; 25. ბეგონია; 26. გორი; 27. შაბათი; 28. კუკრინიკსები; 29. ჩიკაგო; 30. ვირი; 31. რამაზ; 32. თია; 33. იანძი; 34. კაკალი; 35. აბანოთუბანი; 36. ტიარა; 37. ავლა; 38. ირისი; 39. მავრი; 40. ავლევი; 41. „ვიი“; 42. ანდერსენი; 43. სტივ; 44. იალქანი; 45. ანა; 46. გალიუნი; 47. ლია; 48. ჯიქი; 49. ლოსი; 50. კლინტ; 51. პრაიდი; 52. ვერტმფრენი; 53. სოსო; 54. სამარა; 55. ძნა; 56. ვერძი; 57. სანთელი; 58. მარსელი; 59. ტიმბერლეიკი; 60. პაატა; 61. აკვანი; 62. აკლდამა; 63. ემინემი; 64. აული; 65. მიმიკრია; 66. რური; 67. მილე; 68. ერკერი; 69. ნანდუ; 70. ბუნტი; 71. ლიანა; 72. ევრო; 73. ადონისი; 74. ტამპონი; 75. მარიკა; 76. პასტელი; 77. „აფონია“; 78. მირონი; 79. მილანი; 80. რეკორდი; 81. სიმდი; 82. კარეტა; 83. აფლეკი; 84. ფანერა; 85. ერატო; 86. კორტი; 87. ლეი; 88. ტოკიო; 89. ფესი; 90. ტოლმა; 91. ტირი; 92. ბალატონი; 93. ეროს; 94. „ბახტრიონი“; 95. ლოზუნგი; 96. „ფერარი“; 97. აგილერა; 98. ონი; 99. დოკი; 100. ლიხი; 101. ბონდო; 102. კატამარანი; 103. მემ; 104. იო; 105. პრეზიდენტი; 106. ენძელა; 107. კეისი; 108. კვერი; 109. ჰაიტი; 110. იანკი; 111. ილია; 112. ფაცაცია; 113. ამაგი; 114. იოკოჰამა; 115. მარანი; 116. ლევ; 117. ლოპესი; 118. მარქაფა; 119. ირიდა; 120. სინუსოიდა; 121. სიო; 122. სამართებელი; 123. რანი; 124. აკრი; 125. მოროს; 126. ონეგინი; 127. ნოსტე; 128. დალი; 129. პროტექცია; 130. იორღა; 131. ილიკო; 132. კისა; 133. კარაკასი; 134. ვერ; 135. მესი; 136. ხბო; 137. პოლო; 138. მარტინი; 139. სასა; 140. ფარი; 141. პან; 142. არნოლდ; 143. სი. იკითხება: ტომ კრუზი.

## ვაი-ფაის დახმარებით, მეცნიერებმა კედლის მიღმა გახედვა ისწავლეს




უკაცრავად გამოთქმაზე და რა აღარ შეტენეს ამ მობილურებში. სულ მალე, ალბათ, ისეთი ტელეფონები გვექნება, რომლებშიც ჩამონტაჟდება კედლის მიღმა ხედვის მოწყობილობა, პისტოლეტი, უნიტაზი და მიდი, მოვდივარ...

ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოიგონეს პორტატული ხელსაწყო, რომელიც ვაი-ფაის სიგნალს აანალიზებს და ამის საფუძველზე კედლის მიღმა მოძრაობას პოულობს.

სიახლის ავტორები თანხმდებიან, რომ მათი გამოგონება ნებისმიერ ადამიანზე თვალთვალის დაწესების საშუალებას იძლევა, თუკი ის უსადენო ვაი-ფაი კავშირის მოქმედების ზონაში იმყოფება.

მოწყობილობა იმდენად მაღალი სიზუსტისაა, რომ პერსპექტივაში შეუძლია სუნთქვის პროცესში მკერდის მოძრაობაც კი განსაზღვროს.

საქმე ისაა, რომ, როცა ვაი-ფაის ტალღები მოძრავ ობიექტზე ირეკლება, იცვლება მათი სიხშირე და ტალღების სიგრძე. თუკი ადამიანი უსადენო კავშირის გადამცემს უახლოვდება, არეკლილი ტალღების სიხშირე იზრდება, ხოლო დაშორებისას, შესაბამისად, მცირდება. მოწყობილობა ორი ანტენითაა აღჭურვილი. მათგან ერთი საწყის სიგნალს აკონტროლებს, მეორე კი – არეკლილ ტალღებს. ამ ორი მაჩვენებლის გაანალიზება-შედარებით, კომპიუტერი ობიექტის ადგილმდებარეობას, სიჩქარეს და მოძრაობის მიმართულებას განსაზღვრავს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მოწყობილობები ადრეც შექმნილა, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით თითოეული მათგანი გამოუსადეგარი აღმოჩნდა. კერძოდ, ადამიანის მოძრაობის განსაზღვრისთვის, ერთდროულად რამდენიმე ათეული ხელსაწყო იყო საჭირო. ბრიტანელებმა კი ეს მხოლოდ ერთი ხელსაწყოთი შეძლეს.

გამოგონებით უკვე დაინტერესდა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო.

***zemladom.org***

## სათვალე შეცვლის... ექიმსაც და ფსიქოლოგსაც



სამედიცინო ნოუ-ჰაუს შექმნას რუსი მეცნიერები აპირებენ – ადამიანი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს... სათვალეების დახმარებით შეძლებს.

იდეის ავტორები განმარტავენ, რომ „ჭკვიანი აქსესუარის“ შექმნა შეუძლებელია მსოფლიოში ყველაზე პატარა ატომური საათების გარეშე. ამდენად, პირველ რიგში, სპეციალისტები მუშაობას ამ მიმართულებით დაიწყებენ.

საათის გაბარიტები ასანთის კოლოფისას არ გადააჭარბებს, თუმცა ის შეიქმნება არა იმისთვის, რომ ვინმემ მაჯაზე გაიკეთოს, არამედ იმისთვის, რომ საკონტროლო მოწყობილობების სინქრონული მუშაობა უზრუნველყოს. ატომური საათის მიხედვით მოხდება ნებისმიერი აღჭურვილობის მომართვა და სინქრონიზაცია.

სწორედ ასეთი საათის საფუძველზე იგეგმება უზუსტესი ნანომოწყობილობის შექმნაც, რომელიც იმდენად მიკროსკოპული იქნება, რომ სათვალის სახელურზე მიმაგრდება.

ატომების ჩქაროსნული მოქმედების ხარჯზე, ის პრაქტიკულად, მომენტალურად განსაზღვრავს ადამიანის როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ მდგომარეობას.

ნანომოწყობილობის მიკროსკოპული ზომა სათვალისთვის სხვა ფუნქციების მინიჭების საშუალებასაც გამოიღებს. მაგალითად, სპეციალური განყოფილებით, საიდანაც ადამიანის ორგანიზმში საჭირო პრეპარატი შევა, თუკი ასეთი საჭიროება დადგება.

პირველ რიგში, სათვალე დასჭირდებათ პაციენტებს, რომლებსაც დასმული აქვთ დიაბეტის დიაგნოზი, არიან ტრავმირებულები როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად.

როდის გამოჩნდება რუსების „ჭკვიანი სათვალე“, სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცნობია.

***mk.ru***

## პატიმარი სახელმწიფოსგან სქესის შეცვლის ოპერაციის დაფინანსებას მოითხოვს



42 წლის ლაირალის სტივენსი კალიფორნიის ერთ-ერთ ციხეში მკვლელობის გამო მოხვდა – მას 50-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

ჯერ კიდევ ციხეში მოხვედრამდე სტივენსი ცნობილი იყო, როგორც ტრანსსექსუალი, თუმცა თავისუფლებაზე მყოფს, როგორც წესი, ზედმეტს არავინ არაფერს ეუბნებოდა. აი, როცა ციხეში მოხვდა და სხვა პატიმრებმა მისი ამბავი გაიგეს, მუდმივად დასცინიან და ამცირებენ.

სწორედ ამიტომ, ლაირალის სტივენსი ხელისუფლებას სთხოვს, სქესის შეცვის ოპერაცია დაუფინანსდეს და ქალთა კოლონიაში იქნეს გადაყვანილი.

წინასწარი ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, ხელისუფლებას ოპერაციის დაფინანსება მოუხდეს, რითიც კალიფორნია პირველი შტატი გახდება, რომელიც პატიმარს სქესის შეცვლის ოპერაციის ჩატარების უფლებასთან ერთად, საჭირო თანხასაც მისცემს.

***etotupo.ru***

## ცოლ-ქმარმა შვილის... უსქესოდ აღზრდა გადაწყვიტეს



ალბათ, პირველ რიგში, ის დაგაინტერესებთ, რას ნიშნავს შვილის „უსქესოდ აღზრდა“, არა? ახლავე ყველაფერს აგიხსნით:

ინგლისელმა ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, შვილის სქესი მის სრულწლოვნობამდე დამალოს, რათა შემდგომში არჩევანის უფლება ჰქონდეს. ანუ, როცა სრულწლოვანი გახდება, თავად გადაწყვიტოს, ქალობა მოუნდება თუ კაცობა.

მსუბუქად რომ ვთქვათ, ამ სულელური გადაწყვეტილების ავტორები 38 წლის კეტი ვიტერიკი და 39 წლის დევიდ სტოკერი არიან, რომელთაც სურთ, საკუთარი 4 თვის შვილის სქესი არავის გაუმხილონ.

ცნობილია, რომ ცისფერთვალება პატარას მშობლებმა სახელად შტორმ ვიტერიკი შეურჩიეს.

– მსოფლიოს სტერეოტიპები მართავს და სწორედ ამის გამოსწორება გვსურს. ბავშვს უფლება უნდა ჰქონდეს, თავად გააკეთოს არჩევანი საკუთარ სქესთან დაკავშირებით, – ამბობს წყვილი.

რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებას ბევრი აღშფოთებით შეხვდა, თუმცა ისეთებიც გამოჩნდნენ, ვინც ცოლ-ქმრის „კრეატიულობითა და გამბედაობით“ მოიხიბლა.

– როცა ბავშვი იბადება, ყველა იმას კითხულობს, ბიჭია თუ გოგო? სინამდვილეში, ვისაც სურს, რომ ადამიანი გაიცნოს, არ უნდა აღელვებდეს, რა აქვს მას ფეხებს შორის, – ამბობს შტორმის მამა, რომელსაც დიდი სიამოვნებით დავკიდებდით ზუსტად იმით, რაც ფეხებს შორის აქვს!!!

შტორმის გარდა, წყვილს კიდევ ორი შვილი ჰყავს, რომლებსაც ასევე სტერეოტიპებისგან „შველიან“ და უფლებას აძლევენ, ხან შარვლები ეცვათ და ხანაც – კაბები...

***lifenews.ru***

## ქალის მომხიბვლელობის საიდუმლო მისი სიარულის მანერაშია?



ჩვენ თუ გვკითხავს ვინმე, ვეტყვით, რომ თითოეული ქალის მომხიბვლელობის საიდუმლო ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული გვგონია, თუმცა გერმანელი მეცნიერები სხვანაირად ფიქრობენ და ახლავე გეტყვით, როგორია მათი მოსაზრება.

გეტინგის უნივერსიტეტის სპეციალისტების ჯგუფმა დაადგინა, რომ ქალის მომხიბვლელობის მთავარი საიდუმლო მისი სიარულის მანერაში იმალება. რაც უფრო ქალურია სიარული, შესაბამისად, მით მეტია მამაკაცების ყურადღება.

მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ სიარული პირდაპირ კავშირშია ფერტილობასთან (შთამომავლობის რეპროდუქციის უნარი). როცა ფერტილობა მომატებულია, მამაკაცი ქალის სიარულზე ყველაზე ძლიერად რეაგირებს. როცა ფერტილობა მინიმალურია, მამაკაცს ქალი, ფაქტობრივად, არ იზიდავს.

კვლევის ფარგლებში გერმანელმა მეცნიერებმა 48 მომხიბვლელი ქალის სიარული ვიდეოკამერით გადაიღეს. აქცენტი კეთდებოდა სიარულის პროცესში თეძოების რხევაზე. ამის შემდეგ ჩანაწერი ისე დამუშავდა, რომ მხოლოდ სილუეტი იყო დატოვილი. თითოეული ქალის გადაღება ორჯერ ხდებოდა: ჩასახვის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ალბათობისას.

შემდგომ ეტაპზე მკვლევარებმა ჩანაწერები 200-მდე მამაკაცს აჩვენეს. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ „ექსპერტების“ აბსოლუტურ უმრავლესობას ისეთი ქალები მოეწონათ, რომელთა ორგანიზმი ბავშვის ჩასახვისთვის მზად იყო.

***dr20.ru***

## ადამიანს შეუძლია, 200 წელი იცოცხლოს?



წარმოიდგინეთ ტორტი, რომელზეც იუბილარი 200 სანთელს ჩააქრობს. ჯერ ერთი, ძალიან ბევრი კვერცხია საჭირო, რაც დიდ ხარჯებს უკავშირდება, მერე მეორე – 200 წლის ადამიანი რომ ამდენსავე სანთელს ჩააქრობს, იქვე გასძვრება სული დაღლილობისგან.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ცოტა არ იყოს, უაზრობად გვეჩვენება 200-წლიანი სიცოცხლის პერსპექტივა – რა უნდა აკეთო ამდენი ხანი, შეგიძლიათ, გვითხრათ? ბოლოს და ბოლოს, სად 200 წელი რომ ინერვიულებ და სად ჰა-ჰა 70, ჰე-ჰე 80...

ინგლისის უნივერსიტეტის პროფესორი ჯორჯ იანგი ამტკიცებს, რომ უკვე დღეს დედამიწის მცხოვრებთა შორის უკვდავი ადამიანებიც მოიძებნებიან. უფრო რომ დავაზუსტოთ, მეცნიერი დარწმუნებულია, რომ დღეისთვის დედამიწელებს შეუძლიათ, 200 წელი იცოცხლონ.

ჯორჯ იანგი მიიჩნევს, რომ ნანოტექნოლოგიები, გენური ინჟინერია და შესაძლებლობა, შეიცვალოს ადამიანის ბუნებრივი ორგანოები ხელოვნურით, სიცოცხლის ხანგრძლივობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

მისივე თქმით, ადამიანები კი გარდაიცვლებიან, მაგრამ ახალი ტექნოლოგიები, მაგალითად, კლონირება, შესაძლებლობას გამოიღებს, მოხდეს ადამიანის „მკვდრეთით აღდგომა“.

– კლონირება – ეს არის პირველი, ჯერ კიდევ პრიმიტიული ნაბიჯი უსასრულო სიცოცხლისკენ, – ასეთია ჯორჯ იანგის პოზიცია.

***tainamira.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



რამდენიმე თვის უნახავი მეგობრები ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ.

– წამოდი, კოტე, აღვნიშნოთ ჩვენი შეხვედრა, რამდენი ხანია, აღარ მინახიხარ!

– შანსი არ არის, საერთოდ აღარ ვსვამ!

– რატომ?

– რა ვიცი... შენ გასული ზაფხული გახსოვს?

– კი.

– აი, მე კი არა!..

*****

– 500 ქალს დაუსვეს შეკითხვა: „ქმრის კოცნა სჯობს თუ საყვარლის?“. გამოკითხულთაგან სამასმა რესპონდენტმა უპასუხა, რომ ქმრის კოცნა ურჩევნიათ, ხოლო ორასმა საყვარლის ამბორი არჩია. უცნაურია, რომ მათგან პასუხი „არ ვიცი“ არავის უხსენებია...

*****



– სამზარეულოში შევდივარ და რას ვხედავ: დედაჩემი და ჩემი ქმარი სხედან. ქმარი ტირის, დედაჩემი კი ამშვიდებს:

„გაუძელი, შვილო! მე იმ კახპას 20 წელი ვუძლებდი, თანაც, სულ მარტო ვიყავი, შენ კი მარტო არ ხარ – სიდედრი შენ გვერდითაა! ერთად, ღვთის წყალობით, იქნებ ერთი 20 წელი კიდევ გავუძლოთ და მერე შეიცვლება რამე...“

*****

– კოტე, აბა, გამოცანა გამოიცანი: დაიბადა ინგლისში, გაიზარდა ბრაზილიაში, ხოლო საქართველოში მოკვდა, რა არის?

– აზრზე არ ვარ!

– ფეხბურთი, ბიჭო, ფეხბურთი!..

*****

მამაკაცი ქალის მოხიბვლას ცდილობს:

– ჩემთვის მთავარი მხოლოდ თქვენი გულის მონადირებაა!!!

– უი, რა სამწუხაროა, მე კი უკვე გახდილი ვიყავი...

*****

– ექიმო, როცა ჩემს ქმარს ორგაზმი აქვს, ძალიან ხმამაღლა ყვირის.

– ეს ხომ ნორმალურია და უფრო მეტიც, ძალიან კარგი!

– რა არის ამაში კარგი?! მისი ყვირილისგან შეშინებულს მეღვიძება ხოლმე!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

ფრიდონ შენგელია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ძმა

**თემურ შენგელია**

**პანაშვიდი:** 6, 7 მაისს;

**დაკრძალვა:** 8 მაისს, 15 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ცხიმგაცლილი რძის პროდუქცია მავნებელიაო



თუკი ჩვევად გაქვთ ცხიმგაცლილი რძის პროდუქტების შეძენა, ვგონებთ, დაფიქრება გმართებთ.

ამერიკელი მეცნიერები მოუწოდებენ ყველას, ვინც უპირატესობას სწორედ ცხიმგაცლილ რძის პროდუქციას ანიჭებს, უარი თქვას ასეთ არჩევანზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ჯანმრთელობის მდგომარეობა დაიზიანონ.

ჰატჩინსონის ონკოლოგიის ცენტრის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარული გახდა ცხიმგაცლილი რძის, არაჟნის, კეფირის და სხვა ნაწარმის შეძენა. მათი თქმით, ამას არავითარი კავშირი არ აქვს ჯანსაღი ცხოვრების წესთან.

დადგინდა ისიც, რომ ცხიმით მდიდარი რძის პროდუქტები გასუქებას სულაც არ იწვევს, რაც 11 ექსპერიმენტის შედეგად დამტკიცდა.

რაც შეეხება ცხიმგაცლილ პროდუქტებს, ისინი მავნებელია, მაგალითად, ფეხმძიმე ქალებისთვის. კერძოდ, მათი რეგულარული მიღება ბავშვს ასთმითა და ალერგიული რინიტით ემუქრება.

*myjane.ru*

## მოწევის რეჟიმი: როგორ შევამციროთ ზიანი?



ყველამ კარგად იცის, რომ სიგარეტი ორგანიზმისთვის უსაზღვროდ საზიანოა, მაგრამ...

სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს არა მხოლოდ მოწეული ღერების რაოდენობა, არამედ რეჟიმიც, რომელსაც მწეველი ადამიანი იცავს.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ 1 ღერი სიგარეტი, რომელსაც მწეველი გაღვიძებიდან 30 წუთის მანძილზე გააბოლებს, ფილტვის, თავისა და ყელის კიბოს გაჩენის რისკს 2-ჯერ ზრდის.

კვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის პენ სტეიტის სამედიცინო კოლეჯის სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომელშიც 7610 მავნე ჩვევის მქონე ადამიანი იყო ჩართული.

4776 მწეველს უკვე დასმული ჰქონდა ფილტვის კიბოს დიაგნოზი, 2835 ადამიანი კი ჯერჯერობით ჯანმრთელი იყო.

ექსპერიმენტის შედეგად დამტკიცდა, რომ ადამიანებში, რომლებიც სიგარეტს საწოლშივე ან გაღვიძებიდან უახლოეს წუთებში ეწეოდნენ, კიბოთი დაავადების რისკი მთელი 79 პროცენტით მაღალი იყო. ამასთანავე, მოწეული ღერების რაოდენობას მნიშვნელობა პრაქტიკულად, არ ჰქონია.

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ გაღვიძებისთანავე სიგარეტის პირში ჩადება განსაკუთრებით სახიფათოა.

*pronowosti.ru*

**ვაკანსიები!!!**

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**6 მაისი:** თქვენში შეიძლება მხეცმა გაიღვიძოს. თუ არ გსურთ, რომ ჯანმრთელობის პრობლემები შეგექმნათ, განმარტოვდით და ემოციებისგან დაიცალეთ.

**კურო 22.04-21.05**

**6 მაისი:** თუ რამე გაეჭვებთ, ვარაუდების იმედად არ იყოთ, დღეს ეს კარგად არ გამოგივათ. ან ისეთ ვინმეს დაეკითხეთ, ვინც იცის, რა ხდება, ან დაელოდოთ, სანამ ყველაფერი თავისით არ გაირკვევა.

**ტყუპები 22.05-21.06**

**6 მაისი:** განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იმოქმედოთ, რათა ვინმეს დასახმარებლად შემართულმა, გარკვეული ზღვარი არ დაარღვიოთ და ამ ადამიანისა და მისი ქმედებების გამო პასუხისგება თქვენ არ მოგიწიოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**6 მაისი:** სადარდებლად მიზეზების ძებნას ნუ დაიწყებთ, ვერ მოძებნით. გაითვალისწინეთ, თქვენი კარგი განწყობა გადამდები იქნება.

**ლომი 23.07-22.08**

**6 მაისი:** ვერც საკუთარი თავისთვის და ვერც სხვათათვის დროსა და ძალებს ან ვერ გამონახავთ, ან ისე ვერ გადაანაწილებთ, რომ დღის ბოლომდე გეყოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**6 მაისი:** იღბალი დღეს თქვენს მხარეს იქნება. ეს იქნება ამ კვირის ერთ-ერთი საუკეთესო დღე, თუკი თავად არ მოისურვებთ მის გაფუჭებას.

**სასწორი 23.09-22.10**

**6 მაისი:** პასუხისმგებლობა, რომელიც დაგეკისრებათ, ძალიან მძიმე მოგეჩვენებათ, ხოლო ამის საფასური გაგაწბილებთ. მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში იმოქმედეთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**6 მაისი:** დღეს, უბრალოდ, ბედნიერი იქნებით. ერთადერთი რამ, რაც ამისთვისაა საჭირო, მონდომებაა.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**6 მაისი:** დროებითობაზე მუდმივი არაფერია. ის, რასაც დღეს ხანმოკლედ დაგეგმავთ, დიდხანს გასტანს. ასე რომ, დაგეგმვას სერიოზულად მიუდექით.

**თხის რქა 22.12-19.01**

**6 მაისი:** ეს დღე თქვენს ცხოვრებაში შეიძლება ერთ-ერთი გადამწყვეტი აღმოჩნდეს. როგორც კი შანსი მოგეცემათ, ხელიდან არ გაუშვათ, რომ მერე სანანებელი არ გაგიხდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**6 მაისი:** ყველა სახის საიდუმლოს და მაინტრიგებელი საკითხების მიმართ ძალიან მგრძნობიარე იქნებით. თავი ხელში აიყვანეთ და ავანტიურებში არ ჩაერთოთ.

**თევზები 19.02-20.03**

**6 მაისი:** მშვენიერი ზრახვები გაქვთ, მაგრამ მათი განხორციელებისთვის შეუსაბამო დღეა. მთავარია, ისინი არ დაივიწყოთ, დასანანი იქნება.

## დანაყრების გრძნობა ტკბილეულის მიმართ უძლურია



რატომ არის, რომ ტკბილეულისთვის ადგილი ყოველთვის გამოიძებნება ხოლმე კუჭში მაშინაც კი, როცა ადამიანი გვარიანად ნაყრდება?

ეს მოვლენა ბევრისთვის სავალალო შედეგების მომტანია – გასუქებას ვგულისხმობთ, მეცნიერებისთვის კი მორიგ თავსატეხს წარმოადგენს. უფრო სწორად, წარმოადგენდა, რადგან კითხვაზე პასუხის გაცემა, როგორც იქნა, მოხერხდა.

საქმე ის ყოფილა, რომ დესერტის ხათრით, თავის ტვინი დანაყრების შესახებ კუჭის სიგნალს ბლოკავს, რისი მიზანიც სიამოვნების მიღებაა.

მერილენდის ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების საკითხების ნაციონალური ინსტიტუტის ხელმძღვანელი ნორა ვოკოვა განმარტავს, რომ დანაყრების გრძნობა კვების სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. გრძნობა იმ მომენტში ჩნდება, როცა კუჭი გარკვეულ ზომამდე იჭიმება (ყველა ადამიანში ეს მაჩვენებელი სხვადასხვაგვარია). როცა ეს ხდება, ქიმიური და ნერვული სიგნალები თავის ტვინს ამცნობს, რომ ადამიანი ჭამას მორჩა.

აღნიშნული სისტემა ირღვევა მაშინ, როცა საქმე ტკბილეულზე მიდგება. ადამიანების უმრავლესობას დესერტის მიღება სურს მაშინაც კი, როცა ისინი მშივრები არ არიან. როგორც ჩანს, ეს მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნების მიღებისთვის ხდება.

სპეციალისტების განმარტებით, საბოლოო ჯამში, ამას კუჭის გადიდება და მადის მომატება მოსდევს. ამდენად, თუკი დესერტის მიღებას აპირებთ, აუცილებელია ძირითადი კერძის მოცულობის შემცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზედმეტი კილოგრამებისგან თავს, ფაქტობრივად, ვერ დაიხსნით.

*dr20.ru*



პროფესორი სამედიცინო ინსტიტუტში:

– პრაქტიკული მეცადინეობისთვის ახლა ყველა ერთად მორგში შევალთ.

მორგში:

– მაშ ასე! ექიმი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ზიზღიანი, – თქვა პროფესორმა, გვამს თითი აუსვა და გაილოკა.

სტუდენტები შეცბუნდნენ, მაგრამ გაიმეორეს.

პროფესორი:

– ყოჩაღ! არც ერთი არ ყოფილხართ ზიზღიანი, მაგრამ ექიმი აუცილებლად ყოველთვის ყურადღებიანი უნდა იყოს – გვამს საჩვენებელი თითი ავუსვი და არათითი გავილოკე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.10